# 2016 წელი – ჟამი დიდი არჩევანისა და ჟამი დიდი არადანისა!..


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 დეკემბერი, 2015 წელი.

№246 (7891)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!..



## ნაციონალების ტონი კვირიკაშვილის სიმშვიდემ შეარბილა ③



## ვაჟა ბერიძე: დღემდე ბელადების, მესიების, მამა-მარჩენალთა გაუთავებელ ძიებაში ვართ! ④

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა დაიშალოს
- პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში დარჩება
- პატიმართმოძულე და ქალთმოძულე ელისაშვილი
- შალვას „გულჩვილობა“ და პრეზიდენტის „გულქვაობა“

## წინასაახალწლო სამზადისი ხუთსულიან ოჯახს, სტუმრებისა და მეკვლის გარეშე, 500 ლარზე მეტი დაუჯდება ⑤

◉ მეცნიერება და ყოფა

# არა ურთიერთმოსასპობად, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად

### კავკასიური კვლევის ცენტრი მოქმედებს

XXI საუკუნემ, დიდ ტექნიკურ პროგრესთან ერთად, მნიშვნელოვანი საერთო საკაცობრიო პრობლემებიც ჩამოაყალიბა, ესენია: პლანეტის მოსახლეობის უზრუნველყოფა საკვებით, ენერგეტიკული დეფიციტის დაძლევა არაპროგნოზირებულად მზარდი მოსახლეობის პირობებში და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა ანთროპოგენული ტოქსიკური ნაერთების გაუვნებელყოფით. ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს თითქმის მთელი პლანეტის მასშტაბით პერმანენტულად მიმდინარე მცირე და საშუალო ომები. ხშირად მოულოდნელად აფეთქებული ეპიდემიები და პანდემიები.



წამოჭრილი საკითხები კარგა ხანია, აფიქრებს საზოგადოებას და მათ გადაწყვეტაში მეცნიერებას სრულიად სამართლიანად გადამწყვეტი როლი განეკუთვნება. **„მეცნიერება გაიმარჯვებს ომზე, ხალხები მონახავენ საერთო ენას არა ურთიერთმოსასპობად, არამედ მატერიალური დოვლათის შესაქმნელად“,** – ასე აზროვნებდა და წერდა მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ფრანგი მეცნიერი ლუი პასტერი. მართლაც, პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიომ უნდა იპოვოს ის სასიცოცხლო სივრცე და პირობები, სადაც ხალხებს მშვიდობიანი თანაარსებობა დააკავშირებთ, ერთმანეთთან და საერთო პრობლემებს ერთიანი ფრონტით გამოუცხადებენ ბრძოლას.

კავკასია განსაკუთრებულად მრავალფეროვანი, გეოპოლიტიკურად მსოფლიოს თითქმის ცენტრში მდებარე რეგიონია, სადაც, როგორც ირკვევა, პირველყოფილი ადამიანი იდგამდა ფეხს, ყალიბდებოდა და დღეს აქ მცხოვრები 17-18 მილიონი ადამიანი 40-ზე მეტ ენაზე ლაპარაკობს. საქართველოს კავკასიის სამხრეთ ფერდობების 80% უკავია და ამ რეგიონის უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია. ქართველების ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან ისტორიულად სტაბილურმა ურთიერთობამ ჩამოაყალიბა თითქმის ერთიანი კავკასიური მენტალიტეტი, ტრადიცული ინსტიტუტები, ურთიერთობისა და მეგობრობის ფორმები. ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა კავკასიელთა უმეტესწილად გენეტიკური ერთობა და ენობრივი ნათესაობა. კარგა ხანია, რაც ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზეც და ეს ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დრომ ბევრი რამ შეცვალა და დღეს სრულიად კავკასიური კულტურის მოვლა-პატრონობა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედია. შექმნილი ვითარება ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ახლობლობის გაღრმავებას, მათთან კულტურული და ტრადიციული კავშირების გაძლიერებას ითხოვს. ამ ინტერესის გათვალისწინებით, 1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის სახელმწიფო კონცეფცია შემუშავდა, ხოლო 2011 წლის 20 მაისს საქართველომ რუსეთის იმპერიის მიერ მეცხრამეტე საუკუნეში ჩერქეზთა მიმართ გენოციდის ფაქტი აღიარა.

იხ. 2 გვ.


## 6 თვე – 60 ლარი

### გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

მეცნიერება და ყოფა

# არა ურთიერთმოსასპობად, არამედ ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად

## კავკასიური კვლევის ცენტრი მოქმედებს

(პირველი გვერდიდან)

მსოფლიოში განვითარებული პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ, საქართველოს საერთაშორისო ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნედ ქცევის საფრთხე დაემუქრა. დაპირისპირებამ გამოიწვია ის რომ ქართველების მიმართ ტერორისტული აქტების განხორციელების მუქარაც გაისმა. 90-იან წლებში რადიკალური ისლამის გავლენის ქვეშ მყოფმა რელიგიურმა ორგანიზაციებმა საქართველოში ქართველების ისტორიული ძმების, ეთნიკური ქისტებით დასახლებულ პანკისის ხეობაში შემოღწევა და მოსახლეობაში საკუთარი მოძღვრების გავრცელება შეძლეს. მზარდმა რადიკალურმა ისლამურმა პროპაგანდამ ქისტი ახალგაზრდობის ერთი ნაწილის სირიაში, ისლამური სახელმწიფოს დროშის ქვეშ საბრძოლველად გადინება გამოიწვია. სხვადასხვა მიმდინარეობის მისიონერების პროპაგანდის გარდა, პანკისის ხეობის მოსახლეობამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა გარკვეულწილად დაკარგა. ქისტი ახალგაზრდობა სათანადო განათლებას ვეღარ იღებს, რასაც მასობრივი უმუშევრობა და სერიოზული სოციალური პრობლემები ემატება.

სწორედ პრობლემების მთელი კომპლექსის, წარსულის გამოცდილებისა და მომავალში ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ძველი ტრადიციული ურთიერთობების აღდგენის მიზნით, უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II -ს თაოსნობით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისია შეიქმნა. კომისია გამოჩენილი მეცნიერებითა და საზოგადო მოღვაწეებით არის დაკომპლექტებული. პანკისის ხეობიდან კომისიის შემადგენლობაში ჩართული არიან დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებები ბატონები ხასო ხანგოშვილი და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზაურ გუმაშვილი.

ქართველ და ჩრდილო-კავკასიელ მეცნიერთა ურთიერთობები თითქმის საუკუნეა გრძელდება. ამ დროის განმავლობაში უამრავი ერთობლივი სამეცნიერო პროექტი განხორციელდა. ასეთმა პროექტებმა სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს, უნდა გაღრმავდეს ურთიერთობები ენათმეცნიერებაში, ხელოვნებათმცოდნეობაში, ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო დარგებში, სოფლის მეურნეობაში, სოციალურ-პოლიტიკური მიმართულებით. ამის გარდა, ისტორიული სიმართლის დასადგენად საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში მოქმედი არქივების, საცავების, არქეოლოგიური ძეგლებისა და ბიბლიოთეკების სამეცნიერო კვლევებისთვის გამოყენებას, დაეხმაროს ჩრდილო-კავკასიელ მეცნიერებს ნაშრომებისა და სტატიების ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებაში. უმნიშვნელოვანესია მეგობრული დიალოგი კავკასიის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ჩრდილო-კავკასიურ დიასპორებთან. აუცილებელია სახალხო დიპლომატიის გამოყენებაც. საჭიროა კონტაქტების გაძლიერება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. მნიშვნელოვანია ენობრივი ბარიერების დაძლევა, რათა კავკასიელებმა მესამე ენის გარეშე შეძლონ ურთიერთობა. სულ მალე საქართველოში 21 ინგუში ქართული ენის შესასწავლად ჩამოვა. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნება, რასაც სხვებიც უნდა მოჰყვეს.



ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისია პანკისის ხეობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება. საუკუნეების განმავლობაში კახეთის მიწაზე მცხოვრები ქისტები საკუთარ იდენტიფიცირებას მხოლოდ ქართულ სახელმწიფოსთან ახდენდნენ. სოფელ ჯოყოლოში დღემდე დგას ქართველი და ქისტი ხალხის მეგობრობის ნათელი დასტური — გასულ საუკუნეში აგებული ქრისტიანული ეკლესია.

მთლიანად კავკასიის და, კერძოდ, პანკისის ხეობის თემატიკის შესწავლაში ნამდვილ შემობრუნებად უნდა შეფასდეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტივობა, რაც მისი რექტორის დიდი მხარდაჭერით ხორციელდება. უნივერსიტეტში რამდენიმე ათეული ახალგაზრდა პანკისის ხეობიდან სხვადასხვა ფაკულტეტზე იღებს განათლებას. თავად უნივერსიტეტს ხეობასთან ურთიერთობის საკმაოდ აქტიური ტრადიცია აქვს. თანამედროვე, მსხვილი საკვლევი ცენტრის შესაქმნელად მიდგომა იმდენად მაღალპროფესიული და სახელმწიფოებრივი გამოდგა, რომ დამატებითი რესურსის ძებნა საჭიროდ აღარ ჩაითვალა. უნივერსიტეტმა სწრაფად მოახდინა ადაპტირება და საკუთარი რესურსით უნიკალური სტრუქტურა — კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შექმნა. ამ უკანასკნელმა კი უკვე მოამზადა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ამ დიდი და მრავალწახნაგოვანი პრობლემის ეტაპობრივი გადაჭრის გზები და საშუალებები იგეგმება.

უშუალოდ რექტორის ირმა შიოშვილის გადაწყვეტილებით, ცენტრის თანამშრომლები სათანადო ფინანსურ მხარდაჭერას და სახელფასო ანაზღაურებას მიიღებენ. ნავარაუდევია ცენტრის აქტიური მონაწილეობა მსხვილ საერთაშორისო პროექტებში. კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ამავდროულად თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ხეობის ახალგაზრდობის ინტეგრაციის თაობაზე საკუთარ ხედვას, სულ მალე დოკუმენტური სახით წარმოადგენს. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისი სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალით, პანკისის ხეობის პრობლემის გადასაწყვეტის საქმეში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კუთხით, ქვეყნის საიმედო დასაყრდენი იქნება.

ასე რომ, სახელმწიფოებრივი და ერთიანი კავკასიური პრობლემებისადმი ჯანსაღი მიდგომიდან გამომდინარე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისია საუკეთესო პარტნიორები არიან. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია და ამას სხვა დიდმნიშვნელოვანი და შორეულ პერსპექტივაზე გათვლილი განვითარება უნდა მოჰყვეს.

მეცნიერებამ უნდა იზრუნოს ყველა მოძმე კავკასიელი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენაზე, კულტურული მონაპოვრის შენარჩუნებაზე, შეისწავლოს და განავითაროს ყველაფერი ის, რაც გვაახლოებს და სხვა. ეს მისია აკადემიის პროტექტორატის ქვეშ მყოფმა თელავის უნივერსიტეტის კავკასიური კვლევის ცენტრმა უნდა იტვირთოს. ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც გამოცდილება გვეუბნება, დიდი საქმის დაძლევა მეცნიერებას ხშირად მცირედი საშუალებითაც შეუძლია.

ამ წერილით საზოგადოებას მინდა ვამცნო, რომ თელავის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და საქმიანობს კავკასიური სამეცნიერო კვლევის ცენტრი, რომელსაც დიდი მნიშვნელობის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ამოცანა უდგას წინ.

**გიორგი კვესიტაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი**

# მშვიდობიანი და პრაგმატული პოლიტიკა რუსეთთან



**პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე რუსეთთან ურთიერთობების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავრობა გააგრძელებს პრაგმატულ, მშვიდობაზე ორიენტირებულ პოლიტიკას.**

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს მშვიდობიანი განვითარების საშუალება. ჩვენ საკმაო წარმატებას მივაღწიეთ ამ მიმართულებით. ჩვენ გავაკეთებთ შესაძლებლობის მაქსიმუმს, რათა გამოყენებული იქნას რუსეთთან ურთიერთობის მთავარი ფორმატის — ჟენევის დისკუსიების პოტენციალი“, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ასევე აუცილებლად გაგრძელდება აბაშიძე-კარასინის ფორმატიც.

„რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ ფორმატს, რომელიც შეიქმნა ბატონი ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს. ყველა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორი აღნიშნავს ამ ფორმატის წარმატების შესახებ“, — აღნიშნა კვირიკაშვილმა.

# მოწმე სასამართლოში დაიკითხება

**საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის შემოღების შესახებ კანონთა პაკეტს.**

**როგორც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ განმარტა, კანონის ამოქმედების შემდგომ მოწმის დაკითხვა და მოწმის მიერ ჩვენების მიცემა ნებაყოფლობითი ხდება, რაც დადებითი მომენტია — სხვა ნებისმიერ შემთხვევაში მოწმე მხოლოდ სასამართლოს წინაშე დაიკითხება.**

„რამდენიმე დანაშაულზე მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედება ისევ გადავადებულია და მათი სრულყოფილად ამოქმედება მოგვიანებით მოხდება. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ კონკრეტულ დანაშაულებზე მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ხელახალი გადავადება აღარ მოხდება და დასრულდება ის პერმანენტული გადავადებები, რაც ამ კანონთან დაკავშირებით ხდებოდა“, — განაცხადა საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ასევე, საპოლიციო წესით გამოსახლების გაუქმებასთან დაკავშირებულ კანონთა პაკეტს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ განმარტა, რომ ცვლილებების მიხედვით, ხდება საპოლიციო წესით გამოსახლების ჩანაცვლება სასამართლო წესით.

„მიგვაჩნია, რომ ეს სამართლებრივი სახელმწიფოს და ეროვნული მართლწესრიგის იდეის დამკვიდრებას და გაძლიერებას ემსახურება და ასევე ითვალისწინებს ევროპული სტანდარტისა და პრაქტიკის შემოღებას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რაც არაერთხელ დაუფიქსირებია საქართველოს პრეზიდენტს, რომ ნებისმიერ საკითხზე, მათ შორის საკითხებზე, რომელიც კერძო სექტორისა და ბიზნესისათვის დიდი მგრძნობელობით და მნიშვნელობით გამოირჩევა, აუცილებელია საკითხის დაყენებისთანავე მოხდეს მათ წარმომადგენლებთან კონსულტაციები, რათა კანონის მიღების შემდეგ გარკვეული კითხვები აღარ ისმებოდეს“, — აღნიშნა გიორგი კვერენჩხილაძემ.

# პუშკინის ახალი გზა ქალაქის იერსახეში ჩაჯდება

**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი საავტომობილო გზის პროექტის პრეზენტაცია გამართა. პროექტის თანახმად, პუშკინის სკვერის მიმდებარედ, ესტაკადის მშენებლობა იგეგმება, რომლის მეშვეობითაც მერის წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი საავტომობილო მოძრაობა აღდგება. დავით ნარმანიას განცხადებით, აღნიშნულ მონაკვეთზე მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია.**



პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი საავტომობილო მოძრაობა საცობებისგან განტვირთავს დედაქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს - თავისუფლების მოედანსა და მის მიმდებარე ტერიტორიას, კერძოდ მაჩაბელის, კოტე აფხაზის, ჭანტურიას, ფურცელაძის, თაბუკაშვილის, რევაზ ლაღიძის, ლეონიძის, ბესიკის, ათონელის, ვირსალაძის, ვაჩნაძის, ლესია უკრაინკას, პუშკინისა და სხვა ახლომდებარე ქუჩებს, ასევე, გამსახურდიას სახელობის მარჯვენა სანაპიროს.

აღსანიშნავია, რომ ესტაკადა ამოვარდნილი არ იქნება არსებული კონცეფციიდან, გამომდინარე აქედან, ხიდის მშენებლობით ძველი თბილისის იერსახე არ დაიკარგება. ამასთან, ესტაკადის დონე თითქმის არსებული გზის დონის შესაბამისი იქნება.

ორმხირვი მოძრაობის აღდგენა განხორციელდება ისე, რომ მას შეხება არ ექნება და არ დააზიანებს გათხრის შედეგად აღმოჩენილ ძველ ქალაქს. ასევე, იგეგმება არსებული გზის გაფართოება და სავალი ნაწილის მოწყობა, გამომდინარე აქედან, მონაკვეთი ტურისტული თვალსაზრისით და ვიზიტიორების გადაადგილების კუთხით, უფრო მარტივი და მოსახერხებელი გახდება.

№246. ოთხშაბათი, 30 დეკემბერი, 2015 წელი.

**პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი გიორგი კვირიკაშვილი ბიძინა ივანიშვილს ქართულ პოლიტიკაში გავლენიან ფიგურად მიიჩნევს, თუმცა ქვეყანაში არაფორმალური მმართველობის საფუძვლებს ვერ ხედავს და მთავრობის მხრიდან პრინციპული პოლიტიკის გატარების პირობას დებს. გიორგი კვირიკაშვილი საკუთარ თავს დამოუკიდებელ ადამიანად თვლის, კარიერულ წინსვლას საკუთარ გამოცდილებას უკავშირებს და ქართული პოლიტიკური ცხოვრების სხვა რელსებზე გადაყვანის სურვილს გამოხატავს.**



# ნაციონალების ტონი კვირიკაშვილის სიმშვიდემ შეარბილა

მომავალი პრემიერი პრეზიდენტთან, პარლამენტთან და ოპოზიციასთან თანამშრომლობის სურვილსაც გამოთქვამს, თუმცა პოლიტიკოსებს მოუწოდებს არასასურველი სპექტაკლის მოთამაშეებად ნუ გადაიქცევიან.

მთავრობის მომავალმა ხელმძღვანელმა საკუთარ გეგმებზე, ხედვებსა და პროგნოზებზე ყურადღება პარლამენტის ტრიბუნიდან გაამახვილა, სადაც მინისტრობის კანდიდატებთან ერთად გამოცხადდა და გაზაფხულზე, საკადრო ცვლილებების განხორციელებაც არ გამორიცხა. კვირიკაშვილმა მთავრობის წევრები მეგობრებად მიიჩნია და მათთან საქმიანობის სურვილიც გამოხატა, მაგრამ მათ გამოსაცდელი ვადაც მისცა.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის წითელ ბარათს მთავრობის რომელი წევრი მიიღებს, ამის თაობაზე მინისტრობის კანდიდატები არ საუბრობენ, თუმცა მათ გაწეული სამუშაოებით თავის მოწონება დღეს, თავდაპირველად, საკომიტეტო ფორმატში სცადეს, შემდეგ კი, უმცირესობა-უმრავლესობისა და „თავისუფალი დემოკრატების“ სხდომებზე წარსდგნენ.

თუკი „თავისუფალი დემოკრატების“ ფრაქციის სხდომაზე კამათი ზურაბ აბაშიძესა და გიორგი კვირიკაშვილს შორის გაიმართა, უმცირესობის სხდომაზე ერთმანეთს კვირიკაშვილი-სუბელიანი და თარგამაძე-მღებრიშვილი დაუპირისპირდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრებისგან განსხვავებით, ნაციონალებს გიორგი კვირიკაშვილთან არ გამოუყენებიათ ტერმინები: „ჰაკიმ ფაშა“, „იაფი ფული“, „მატყუარა ბიძინა“, „ცოლის ნათესავები“ და ა.შ. მაგრამ კითხვები ეხებოდა — ეკონომიკას, გახმაურებულ საქმეებსა და მთავრობის წევრების ცალკეულ გამონათქვემებს.

ოპოზიციამ კვირიკაშვილი გაწონასწორებულ პიროვნებად მიიჩნია, მისი წინამორბედი კი, გააკრიტიკეს და მასზე კარგის გარდა, ცუდი ყველაფერი თქვეს. კვირიკაშვილმა ოპოზიციის ქათინაურები დააფასა, თუმცა, მას ივანიშვილისგან განსხვავებით, ღარიბაშვილი არ დაუცვია.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრებს, მინისტრობის კანდიდატები ფართო ფორმატში, თავდაპირველად, „თავისუფალ დემოკრატებს“ შეხვდნენ, სადაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა სამთავრობო გეგმები გაახმოვანა და თქვა, რომ მთავრობის მთავარი პრიორიტეტი ეკონომიკა და დასაქმება იქნება, ასევე აქცენტი გაკეთდება ტურიზმზე.

მას შემდეგ, რაც კვირიკაშვილმა გამოსვლა დაასრულა, მას ზურაბ აბაშიძემ — „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა გადასცა, მისი გაცნობა ურჩია და იმედი გამოთქვა, რომ ეს მისთვის სამაგიდო დოკუმენტი გახდება, რადგან მისი თქმით, კოალიცია ხელისუფლებაში ამ დოკუმენტით მოვიდა.

**„ამ დოკუმენტში იყო დაპირებები როგორც ტოტალური უმუშევრობის დამარცხების თვალსაზრისით, ასევე სამართლიანობის აღდგენით. იქნებ, პასუხი გასცეთ, რა შესრულდა და რა არა“,** — მიმართა აბაშიძემ კვირიკაშვილს, რომელმაც ოპოზიციონერის რეპლიკა თავდაპირველად შეურაცხყოფად მიიღო და მოუწოდა სპექტაკლის მონაწილე არ გახდეს.

კვირიკაშვილმა „თავისუფალი დემოკრატების“ დარწმუნება სცადა, რომ მისი დიდი სურვილია, კონფრონტაცია და პოლარიზაცია, რაც საზოგადოებაში არსებობს, დასრულდეს.

**„ჩვენ ყველანი ერთი არასასურველი სპექტაკლის მოთამაშეებად გადავიქეცით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საზოგადოებაში პოლიტიზაციის ხარისხი შემცირდეს, ადამიანებმა ერთმანეთს უფრო კეთილი თვალით შეხედონ და საზოგადოება რაღაცნაირად გავამთლიანოთ“,** — მიმართა ალასანიას გუნდს კვირიკაშვილმა, რომელსაც გიორგი ცაგარეიშვილმა პასუხები მოსთხოვა გახმაურებულ საქმეებზე, მათ შორის — ჟვანიას და კიწმარიშვილის საქმეებზე.

ცაგარეიშვილმა გამოსვლისას ყურადღება ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ძალიან, კარგია, რომ შოთაძემ ორი მილიონი ლარის ქონება დააბრუნა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ორი მილიარდის ქონება რომ „აახია“, ის არ ჩანს.

ცაგარეიშვილის საპასუხოდ, კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ჟვანიასა და კიწმარიშვილის საქმეებზე გარკვეული პროგრესია და მას ამ საკითხებზე უფრო კონკრეტული საუბარი ექნება.

**„მეჩვენება, რომ სამართლიანობის აღდგენის ტემპის დაჩქარების რესურსი არსებობს და ვეცდები, რომ ჩვენი მხრიდან გამოხატული პოლიტიკური ნება აღვასრულოთ და პროცესი დავაჩქაროთ. ეს დელიკატური პროცესია და მაქსიმალურად ჩქარა, მაგრამ სიზუსტით უნდა ვიმოქმედოთ“,** — დასძინა კვირიკაშვილმა, რომელსაც „თავისუფალმა დემოკრატებმა“ სოციალურ ქსელ Facebook-ის საშუალებით, საზოგადოების მიერ დასმული კითხვები მიაწოდეს, რის საპასუხოდაც, პრემიერობის კანდიდატმა მათ იმ პოსტების წარდგენა მოსთხოვა, სადაც პრეტენზიები მათ მიმართაც ისმის.

**„მაინტერესებს, სითამამე თუ გეყოფათ, რომ თქვენს მიმართ გაჟღერებული პრეტენზიებიც წაიკითხოთ?“,** — მიმართა „თავისუფალ დემოკრატებს კვირიკაშვილმა, რომელიც პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით, ნინო გოგუაძის კითხვას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტს პატივს სცემს.

გიორგი კვირიკაშვილმა პირობა დადო, რომ ფიზიკური შესაძლებლობის შემთხვევაში, როცა უშიშროების საბჭოს სხდომა ჩატარდება, მას დაესწრება.

პრეზიდენტზე საუბრისას კვირიკაშვილი ავლაბრის რეზიდენციასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მარგველაშვილის ადგილზე პოლიტიკური გუნდის განწყობას გაითვალისწინებდა.

**„პრეზიდენტის სასახლიდან გამოსახლების საკითხი მთავრობის მხრიდან არ უნდა დაისვას“,** — დასძინა კვირიკაშვილმა, რომელმაც „თავისუფალი დემოკარტების“ შემდეგ შეხვედრა ნაციონალებთან გამართა.

აღსანიშნავია, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, ნაციონალები კვირიკაშვილთან უფრო თავშეკავებულები იყვნენ, მას სიღრმისეულ კითხვებს უსვამდნენ და კომპლექსებისგან დაცლილ ადამიანად ახასიათებდნენ, თუმცა, პრემიერობის კანდიდატს ოპოზიციონერების მიმართ ვნებების დაცხრობის თაობაზე მოწოდების გაკეთება მაინც მოუხდა.

კერძოდ, კვირიკაშვილმა ბარბარე რაფალიანცის საქმის გაცნობის პირობა დადო და აღნიშნა, რომ მან არ იცის, გიორგი ღვინიაშვილს ბავშვის მკვლელობა ვინ დააბრალა. კვირიკაშვილის გამოსვლა კობა სუბელიანმა გააპროტესტა.

**„ის ადამიანი, ვინც ღვინიაშვილს ეს დააბრალა, კულტურის მინისტრის მოადგილეა, ამ საქმიდან ვერ გამოძვრებით, რადგან ბავშვის სიკვდილი დაგვაბრალეთ, ახლა კი, წყნარად სხედხართ“,** — მიმართა ყვირილის ფონზე სუბელიანმა კვირიკაშვილს, რომელმაც ოპოზიციონერს მოუწოდა, ნუ ყვიროდა და ვნებები დაეცხრო.

კვირიკაშვილ-სუბელიანის შემდეგ, კამათი თარგამაძე-მღებრიშვილს შორის გაიმართა და მათი დაპირისპირების მიზეზი ზურაბ გამეზარდაშვილი გახდა, რომლის თაობაზეც ოპოზიციონერი დაინტერესდა, მინისტრის მოადგილისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტს რატომ იკავებდა. თავის მხრივ, მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ მას ვერავინ დააბრალებს, რომ ის ვინმეს სადმე ვინმეს ხათრით ნიშნავს.

მღებრიშვილ-თარგამაძის კამათში კვირიკაშვილი ჩაერთო, მან ნაციონალებს წარსული გაახსენა და განაცხადა, რომ საზოგადოებას პოლიციის ეზოებში თავგახეთქილი ადამიანები ახსოვს, ისევე როგორც ის — ქუჩაში ადამიანებს როგორ ხოცავდნენ.

კვირიკაშვილმა ცხრაწლიან რეჟიმზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საზოგადოებას შავ-თეთრი ფილმებიც კარგად ახსოვს.

**„თქვენ გინდათ, რომ ჩემი ფორმატიდან ამომაგდოთ და სხვა ფორმატში გადამიყვაოთ, მაგრამ ჩემი პასუხი მშვიდი იქნება. ცოტა თვითკრიტიკაც გქონდეთ. თქვენს დროს ხალხს ქუჩაში ხოცავდნენ და ნულოვანი ტოლერანტობაც გაიხსენეთ. მოგიწოდებდით, რომ თქვენს წარსულზე თამამად ისაუბროთ. თქვენს დროს პროგრესიც იყო, მაგრამ უარყოფითი ასპექტები იყო, როცა ხელისუფლებაში იმყოფებოდით. ღრმად ფესვებგადგმული ავტორიტარული სისტემა გქონდათ. ამის გაანალიზებისკენ მოგიწოდებთ. იდეალურიები არ ვართ, მაგრამ ტენდენცია, რომ დადებითია, ამაზე კითხვის ნიშანი არ არის“,** — მიმართა ნაციონალებს კვირიკაშვილმა.

**„ამ მთავრობას შეგვიძლია, „ბანკი ქართუს“ მთავრობა დავარქვათ. თქვენ „ქართუს“ პრეზიდენტი იყავით, თქვენი მოადგილე ქუმსიშვილი იყო, ხოლო ხაბაძე აჭარის ფილიალის მმართველი. მთავრობაში მინისტრების დაწინაურება იმის მიხედვით ხდება, მათ რა დამსახურებები აქვთ ბიძინა ივანიშვილის წინაშე. ასევე მისი დაცვის ორი წევრი ძალოვან უწყებებს ხელმძღვანელობენ, ხოლო სერგეენკო მისი პირადი ექიმი იყო. გასაგებია, რომ ივანიშვილი კადრებს ასე არჩევს, რაც ქვეყანასაც ეტყობა, რადგან „ბანკი ქართუს“ მოგება გაიზარდა, ქვეყანა კი, გაღარიბდა. გასაგებია, რომ მთელი მთავრობა „ქართუ ბანკის“ წარმატებაზე მუშაობს და არა ქვეყნის, მაგრამ მაინტერესებს, ხმას ამოიღებთ თუ არა მაშინ, როცა ივანიშვილი მინისტრობის ახალ კანდიდატებს შემოგთავაზებთ?! მთავრობაში ცვლილებების განხორციელებას რა კრიტერიუმებით აპირებთ? როცა ავტრორიტარულ მმართველობაზე საუბრობთ, თქვენი წინამორბედი გაიხსენეთ, რომელიც დილის 7 საათზე დაიბარეს და მან არც კი იცოდა, რომ უკვე სახლში იყო წასული და მას გამოსამშვიდობებელი სიტყვის 16 დუბლის ჩაწერა მოუხდა“,** — მიმართა კვირიკაშვილს ირმა ნადირაშვილმა.

კვირიკაშვილმა ოლიმპიური სიმშვიდით განმარტა, რომ ქვეყანაში არაფორმალური მმართველობა არ არის, თუმცა, ივანიშვილი პოლიტიკურად გავლენიანი ფიგურაა.

**„ბატონ ბიძინას, პოლიტიკური გავლენა რისთვის სჭირდება? არც მისი ადვოკატი ვარ და არც დამცველი, მაგრამ ის პოლიტიკაში შემოვიდა და თავისი ნებით წავიდა. მას ამ ქვეყანაში სიმდიდრე არ მოუხვეჭავს, მან არაერთი მილიარდობით ლარი თუ დოლარი დახარჯა, რომ არაერთი ადამიანის თუ კულტურული ძეგლების მდგომარეება გამოესწორებინა“,** — დასძინა კვირიკაშვილმა, რომელსაც ეკა ხერხეულიძემ საყდრისის აფეთქებული ძეგლის ისტორია შეახსენა.

კვირიკაშვილმა არც ხერხეულიძის კრიტიკა გაითვალისწინა და არც ნადირაშვილის, საკუთარ წარსულს თვალი გადაავლო და აღნიშნა, რომ მას საბანკო სისტემაში მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება აქვს.

**„არ ვიცი, ვინ შეიძლება ჩათვალოს, რომ „ქართუ ბანკში“ მუშაობის გამო მთავრობაში მოვედი. ამერიკაში განათლება მიღებული მაქვს და ორი უნივერსიტეტი დამთავრებული მაქვს. რაც შეეხება დავით სერგეენკოს, ვერ უარყოფთ, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრია“,** — დასძინა კვირიკაშვილმა, რომლის უკან ხერხეულიძე ივანიშვილის აჩრდილს ხედავს.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, კვირიკაშვილმა 2016 წლის არჩევნების დემოკრატიული პრინციპებით ჩატარების პირობა დადო, მაგრამ მან 2012 წელს, წინასაარჩევნოდ გაჟღერებული დაპირებები გადაჭარბებულად მიიჩნია...

**გუშინ პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა.**

**თეონა მანაგაძე**

## ინფორმაცია

# იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა დაიშალოს

**ადვოკატთა ასოციაციამ და არასაპარლამენტო ოპოზიციამ გუშინდელ შეხვედრაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაშლის შესახებ განცხადება მიიღეს.**

**„შექმნილ ვითარებაში აუცილებელ და გადაუდებელ ნაბიჯად მიგვაჩნია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბოლომდე დისკრედიტებული მოქმედი შემადგენლობის დაშლა და მისი ფორმირების წესის შეცვლა. მიგვაჩნია, რომ საბჭოს ახალი შემადგენლობის ფორმირების დროს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არა არაფორმალური მმართველების კულუარულ ფავორიტებს, არამედ დასანიშნი კანდიდატების პროფესიული და საჯარო რეპუტაციას და საზოგადოებრივ კონსენსუსს. მოვუწოდებ ფართო საზოგადოებას და ყველას, ვისთვისაც სულ ერთი არ არის საქართველოში სასამართლო ხელისუფლების მომავალი, ჩაერთოს მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავს იუსტიციის საბჭოს და მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის ძირეულ რეფორმას“, — ნათქვამია მიღებულ განცხადებაში.**



**მედიანიუსი**



# დღემდე ბელადების, მესიების, მამა-მარჩენალთა გაუთავებელ ძიებაში ვართ!

**რა შეცდომები დაუშვა მმართველმა გუნდმა და რას ურჩევენ „ოცნებას“ პოლიტოლოგები?! ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტი ვაჟა ბერიძე გვესაუბრება.**

— მთავრობის საქმიანობა უფრო დადებითია, ვიდრე ნეგატიური და იმ პრიზმაში უნდა შევხედოთ, რისი გაკეთება შეიძლებოდა. სიტუაცია მძიმე იყო, საგარეო შოკებისგან ჩვენი ეკონომიკის გამოყვანა რთული აღმოჩნდა. ამ მთავრობამ ვერ გადალახა წინააღმდეგობა, რომელიც ახლავს კოაბიტაციას. ეს რეჟიმი არ დამთავრებულა. არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ პოზიტივი იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადება, ამ ხელშეკრულების იმპლემენტაციის დაწყება, რაც რთული იქნება და პირველ წლებში ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების გაუცხოება ამ პროცესისადმი. აქ მეტი გამჭრიახობა მართებს ხელისუფლებას.

ვიზალიბერალიზაციის პროცესი ევროკავშირთან წინგადადგმული ნაბიჯია, მიუხედავად იმისა, რომ, ამავე დროს, საფრთხეების შემცველიცაა, რამდენადაც ჩვენს მოქალაქეთა უმეტესი ნაწილი სამოგზაუროდ ევროპაში ვერ წავა მწირი მატერიალური რესურსის გამო, ის სამუშაოდ წავა და 500-მილიონიანი ევროკავშირის ბაზრით ვერ ვისარგებლებთ. საკუთარი წარმოებითა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ამ ბაზარზე შესვლის ნებართვა ერთია და რეალური შესვლა მეორეა. ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს და უახლოეს წლებში გაგვიჭირდება ამის გაკეთება. მთავრობას ვურჩევდი, კონკრეტული პროგრამის შემუშავებას, რომელიც გაწერილი იქნება თუნდაც ერთ საარჩევნო ციკლზე. გარდა ამისა, მთავრობამ არსებითად უნდა გააუმჯობესოს მოსახლეობასთან ურთიერთობის მანერა. ეფექტური პიარტექნოლოგიების გამოყენების გარეშე დღევანდელი პოლიტიკა არ არსებობს. თავის დროზე ეს ბიძინა ივანიშვილისთვის გაუგებარი იყო, მერე უკვე ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელსაც უნდა სცოდნოდა პიარის მნიშვნელობა, თავისი ახალგაზრდული ასაკიდან გამომდინარე, პიარის მხრივ ხელშესახებ შედეგებს ვერ მიაღწია. ამიტომაც ხალხმა არ იცის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სიკეთეებზე, რომ 710 მილიონია დახარჯული ამ წელს ამ პროგრამაზე, ამის გარეშე უამრავი ადამიანი გულის ან სხვა ოპერაციისთვის სახლს გაყიდდა, ბანკიდან სესხს აიღებდა. ამ ხელისუფლებამ ისიც ვერ გააგებინა ხალხს, ეს თანხა რომ გადანაწილებულიყო პენსიონერებზე, 105 ლარით გაიზრდებოდა თითოეული პენსიონერის პენსია.

**— რაც შეეხება ე.წ. არაპოპულარულ „მარგალიტებს“. მოსახლეობა ფიქრობს, რომ აღნიშვნის ღირსია პაატა ზაქარეიშვილის გაუგებარი, ნაჩქარევი განცხადებები, გოგი თოფაძის ნოსტალგია სტალინისადმი, თამაზ მეჭიაურის გამონათქვამები, გუგული მაღრაძის რჩევები, რომ კარგმა დიასახლისმა უნდა იცოდეს, როდის იყიდოს ბაზარში ხორცი. მზარდი პრემიების ფონზე რამდენად დასახვეწია ჩვენს ხელისუფალთა ვერბალური მეტყველება?**

— პრემიებთან და დანამატებთან დაკავშირებული გადაჭარბებული ალიაქოთი ძალად მოგონილი პრობლემა მგონია. არა მჯერა, პენსიონერმა თქვას, მე ვიღებ 160-ლარიან პენსიას და რომელიმე მინისტრმა ან გუბერნატორმა აიღოს ჩემზე, ჰა-ჰა, 40 ლარით მეტიო, ანუ 200 ლარი. ასეთი მიდგომა გვქონდა შევარდნაძის პერიოდში, როდესაც მინისტრები და მრჩევლები იღებდნენ 160-250-300 ლარს, მილიონობით ქონებას განკარგავდნენ და, საბოლოო ჯამში, ზოგიერთი მათგანი ჩაეფლო კორუფციაში. უნდა იყოს მაღალი პრემიები და დანამატები, მაგრამ სხვა საქმეა, რამდენად მაღალი და მოცულობითია, როცა ხალხის უმეტესობა შიმშილობს?! რა თქმა უნდა, ბევრია ეს დანამატები.

რაც შეეხება არაპოპულარულ განცხადებებს, ქალბატონ გუგულის პატივს ვცემ, მაგრამ ასე დაუფიქრებელი განცხადების გაკეთება შეცდომაა, ეს აღიზიანებს აუდიტორიას და ვნებს მათ იმიჯსაც. როგორც ქალბატონი გუგული, ისე სხვები, გარდა პაატა ზაქარეიშვილისა, არაპროფესიონალი პოლიტიკოსები არიან. საქართველოში პოლიტიკოსის ცნება დევალვირებულია და სალანძღავ სიტყვადაა ქცეული, რადგან პოლიტიკოსები ხშირად ვერ ამართლებენ ხალხის ნდობას. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ პოლიტიკოსების ნაცვლად უნდა გვყავდეს დილეტანტები. ვუსურვებდი „ქართულ ოცნებას“, პირველ რიგში, გადაახალისოს თავისი რიგები, ის ხალხი მიიზიდოს ხელისუფლებაში და მომავალ პარლამენტში, ვისაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ვინც აზროვნებს, როგორც პოლიტიკის ექსპერტი, პოლიტიკის შემქმნელი და შეუძლია ანალიზის გაკეთება. ძირითადი აქცენტი აიღონ კვალიფიციურ იურისტებზე, ეკონომისტებზე, აქ საკუთარ თავს არ ვგულისხმობ.

**— ჩვენი ხალხი ბრძენია, მაგრამ დღემდე ბელადების, მესიების, მამა და მარჩენალის გაუთავებელი ძიებაა. მთელი წინა საუკუნე ასეთ ადამიანებს ველოდებოდით, ასეთი იყო ბელადი სტალინი, რომელიც დღემდე პოპულარულია, ასე იყო ჩვენი ერის ლიდერი ზვიად გამსახურდია, ასეთი ტიტანი იყო შევარდნაძე, შემდეგ სააკაშვილიც იყო ავტორიტარიზმის დამამკვიდრებელი ბელადი. არადა, ამ საუკუნეში თვითონ ხალხი და ერი უნდა იყოს საკუთარი თავის გადამრჩენელიც და მესიაც. წავიდა მესიების ისტორიული ეპოქა.**

რაც მთავარია, მმართველი ძალა სასწრაფოდ უნდა გადავიდეს კოალიციურ რეჟიმზე, რომელიც დღეს არ არსებობს. ფაქტობრივად, ეს ორწევრიანი კოალიციაა — ბიძინა ივანიშვილი, მისი მომხრეები და „რესპუბლიკელები“. სხვებს იქ არავინ არაფერს არ ეკითხება.

**— ნაციონალებისგან განსხვავებით, მაინც „ოცნება“ აჭრილი გუნდია და პოლიტიკურად მმართველ გუნდად ვერ ჩამოყალიბდა. რატომ კარგავს „ოცნება“ რეიტინგს, თითქმის რატომ უახლოვდება „ოცნებისა“ და ნაციონალების მომხრეთა რაოდენობა ერთმანეთს თუნდაც ყბადაღებული „ენდიაი“-ს მიხედვით? მართალია, ივანიშვილი მიიჩნევს, რომ მას ჭარბი ნდობა აქვს, მაგრამ იქნებ, მთლად ასეც აღარ არის და ქარიზმა მინელდა?**

— ჩვენი ხალხი ბრძენია, მაგრამ დღემდე ბელადების, მესიების, მამა და მარჩენალის გაუთავებელი ძიებაა. მთელი წინა საუკუნე ასეთ ადამიანებს ველოდებოდით, ასეთი იყო ბელადი სტალინი, რომელიც დღემდე პოპულარულია, ასე იყო ჩვენი ერის ლიდერი ზვიად გამსახურდია, ასეთი ტიტანი იყო შევარდნაძე, შემდეგ სააკაშვილიც იყო ავტორიტარიზმის დამამკვიდრებელი ბელადი. არადა, ამ საუკუნეში თვითონ ხალხი და ერი უნდა იყოს საკუთარი თავის გადამრჩენელიც და მესიაც. წავიდა მესიების ისტორიული ეპოქა. „ოცნების“ რეიტინგის ვარდნა გამოწვეულია სწორედ აქედან. ელოდნენ, მოვა მდიდარი ძია ბიძინა, ჩამოარიგებს ფულს და ჯადოსნური ჯოხის აქნევით აყვავდება ქვეყანა. ივანიშვილი ისტორიაში გამორჩეულ ფიგურად დარჩება მილიარდიანი ქველმოქმედებითა და ავტორიტარული რეჟიმის მშვიდობიანი მოცილებით, მაგრამ ის ვერ შეძლებს, ქვეყანა იხსნას, მყისიერად დაალაგოს ეკონომიკა, აწარმოოს კონკურენტუნარიანი საქონელი, გაიტანოს უცხოეთის ბაზრებზე. ამის რესურსი ჩვეულებრივ მოკვდავთაგან არავის აქვს. 18-20%-ია „ოცნების“ რეიტინგი, რაც ნაკლებად სანდო NDI-მ მოგვცა. სამაგიეროდ, ნაციონალების რეიტინგი სტაბილური 10%-ია, ანუ ორჯერ ნაკლები, ვიდრე მმართველი ძალისა. აქ ჩვენი დღევანდელობის მთავარი ურთულესი კითხვაც ისმის, ვისთან შეუძლია ითანამშრომლოს „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნების შემდეგ? ჩვენი დასავლეთელი სტრატეგიული პარტნიორები ვერაფრით შეეგუებიან, რომ ეს ძალა იყოს ბურჯანაძის პარტია, ან „პატრიოტთა ალიანსი“. ალასანია-ივანიშვილის თანამშრომლობა წარმოუდგენელია. ჩერნოვეცკი და ბურჭულაძე, ჩემი აზრით, სადღაც „ნაციონალურ“ ფრონტზე მოიაზრებიან. „ოცნების“ შემდეგ მოდიან ნაციონალები 10%-იანი მყარი რეიტინგით. ნაკლებად მგონია, რაიმე არსებითი გამოუვიდეს „გირჩს“, რომელიც ნაციონალურია თავისი შინაარსით. გარკვეული ელექტორატის მხარდაჭერით უდაოდ ისარგებლებს პაატა ბურჭულაძე, ჩვენი სახელოვანი მომღერალი, მაგრამ მისი პლატფორმა — ხაზგასმული პროდასავლურობა ნაკლებად სარწმუნოა საზოგადოებისთვის. 60%-მა მაინც არ იცის, წავა თუ არა არჩევნებზე. რჩება ჩერნოვეცკი, რომელიც, თუ კაფკას გავიხსენებთ, არის შავი ცხენი, აბსოლუტურად უცნობი პერსონა ქართულ სინამდვილეში. თავიდან მივესალმე მის დაფუძნებას საქართველოში, ის მდიდარი ადამიანია, მის მიერ აქ ფულის ხარჯვას, მაგრამ არ მოველოდი, თუ ის პოლიტიკაში ჩაბმას გადაწყვეტდა და, წარსულში იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს მეგობარი, ამ ტრაექტორიაზე, ანუ ნაციონალურ ფრონტზე აღმოჩნდებოდა. თუმცა ვნახოთ, იქნებ, ამ ქვეყნისთვის საინტერესოც კი იყოს ჩერნოვეცკი, რამდენადაც მისი მესიჯი — „ბედნიერი საქართველო“ რაღაცით პაროდირებასაც ჰგავს. საინტერესო პერიპეტიები გველის.

**— თქვენი აზრით, წლის პოლიტიკოსად ვინ შეიძლება დასახელდეს?ჰყავს კი ასეთი პოლიტიკოსი საქართველოს?**

— წლის პოლიტიკოსის სტატუსს არავის მივანიჭებდი. ერთ გამოკითხვაშიც მივიღე მონაწილეობა, სადაც წლის ადამიანი უნდა დასახელებულიყო. სწორი შედეგი დადგა, რადგან ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგად დაზარალებულები გამოაცხადეს წლის ადამიანებად. ვიტყოდი იმასაც, რომ ყველაზე კარგი პოლიტიკოსი გასულ წელს მამუკა გორგოძე, ჩვენი რაგბისტი იყო. ყველა დანარჩენი, ვინც პოლიტიკურ არენაზე იყო, როგორც ყოფილი პრემიერი ღარიბაშვილი, რომელმაც, როგორც პიროვნებამ და ქართველმა, რაც შეეძლო, გააკეთა და ღირსეულად წავიდა, პატივისცემას იმსახურებს, ისევე, როგორც ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი, პიროვნული და კარიერული წინსვლის თვალსაზრისით გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის პოზიციას, ალბათ, დაიკავებს.

ამ საკონსტიტუციო რეალობაში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი სახელმწიფოს მეთაური კი არ არის, ეს არის მთავრობის მეთაური და კვირიკაშვილმა მოახერხა ის, რომ ნაციონალებსაც უჭირთ მის წინააღმდეგ კომპრომატების მოძიება.

**მანანა ნოზაძე**

## ალიან-ჩალიანი

## ჩემი რჩევები არავინ გაითვალისწინა

**იუსტიციის მინისტრობის კანდიდატის თეა წულუკიანი აცხადებს, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცესში სწორი გადაწყვეტილების მიღებისკენ მან მოუწოდა როგორც თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივან ლევან მურუსიძეს, ისე საბჭოს სხვა წევრებს, თუმცა უშედეგოდ. როგორც წულუკიანმა განაცხადა, კენჭისყრისას ლევან მურუსიძის წარსული უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.**



**„თავად ლევან მურუსიძეს მოვუწოდე, რომ მიეღო სწორი გადაწყვეტილება და უკან გაეტანა თავისი საკონკურსო განაცხადი. ეს გახლდათ 7 დეკემბერი. მე ასევე, მთლიანად საბჭოს, მათ შორის მოსამართლე წევრებს მივეცი საჯაროდ რჩევა 3 დეკემბერს და ვუთხარი, რომ გაეთვალისწინებინათ კენჭისყრისას კანდიდატების წარსული. მე ეს გადაწყვეტილება არ მომწონს. მე არ ვაძლევ და ვერ ვაძლევ მითითებებს იუსტიციის საბჭოს წევრებს, რა გადაწყვეტილებები მიიღონ. ერთადერთი რაც მე შემიძლია, არის რჩევები, საჯარო განცხადებები, რომლებიც ამ შემთხვევაში არავინ არ გაითვალისწინა“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.**

## პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში დარჩება

**პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში იმყოფება და ეს საკითხი მთავრობის მხრიდან აღარ უნდა დაისვას, — განაცხადა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრის ნინო გოგუაძის კითხვის პასუხად. ეს უკანასკნელი დაინტერესდა, შეწყვეტს თუ განაგრძობს ახალი პრემიერი იმ სამარცხვინო კამპანიას, რომელიც პრეზიდენტის გამოსახლებას ისახავს მიზნად. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებითვე, პრეზიდენტის ადგილზე რომ ყოფილიყო, გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკურ გუნდს უფრო მეტ ანგარიშს გაუწევდა.**

**„რაც შეეხება გამოსახლების კამპანიას, არ ვიცი, რომელ კამპანიაზე საუბრობთ. ცალკეულ პირებს უფლება აქვთ, ამ ტიპის განცხადებები გააკეთონ. გემოვნების საკითხია. მე რომ პრეზიდენტის ადგილზე ვყოფილიყავი, ალბათ, პოლიტიკურ გუნდს უფრო მეტ ანგარიშს გავუწევდი — ამასაც ღიად გეუბნებით, თუმცა პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში იმყოფება და ეს საკითხი მთავრობის მხრიდან აღარ უნდა დაისვას“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.**

## „გირგვლიანის საქმე არის სიმბოლური საქმე“

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრი გია ჟორჟოლიანი ამბობს, რომ თავად იმ საზოგადოების ნაწილში შედის, რომელიც ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ დანიშვნით უკმაყოფილოა.**



**„ეს არის გადაწყვეტილება, რომელმაც უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოების ნაწილში და მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ, ვინც უკმაყოფილოა ამ გადაწყვეტილებით. გირგვლიანის საქმე არის სიმბოლური საქმე. ეს არის სიმბოლო რესპრესიებისა, ადამიანების განადგურებისა. ყოველგვარ კანონიერებაზე უარის თქმისა და, რა თქმა უნდა, მე მგონია, რომ ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა გადავხედოთ, რეფორმის მიმართულებას“, — განაცხადა გია ჟორჟოლიანმა.**

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

# წინასაახალწლო სამზადისი ხუთსულიან ოჯახს, სტუმრებისა და მეკვლის გარეშე, 500 ლარზე მეტი დაუჯდება

**წინასაახალწლო სუფრის სამზადისი, როგორც წესი, ღარიბი მოსახლეობის ჯიბესა და ნერვებზე აისახება. მარტივი გათვლებით, წინასაახალწლო სამზადისი ხუთსულიან ოჯახს 500 ლარზე მეტი დაუჯდება, თუ არ ჩავთვლით სტუმრებს, მეკვლეებს და ყველა იმ ადათ-წესის დაცვას, რაც ქართულ სტუმართმოყვარეობას ახასიათებს.**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში იოსებ არჩვაძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ წინასაახალწლო ფასების გასაგებად აუცილებელია სამ მნიშვნელოვან კომპონენტზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, საახალწლო სუფრა არ ნიშნავს მხოლოდ ღამის 12-ის ნახევრიდან დილის 7 საათამდე სუფრას. ეს ნიშნავს, რომ 1 იანვარსაც, 2-შიც და, შეიძლება, 3 იანვარსაც საახალწლო სუფრა გაშლილი იყოს და მისვლა-მოსვლა გაგრძელდეს.

ექსპერტის თქმით, სამწუხაროდ, საქართველოში ოჯახის საშუალო რიცხოვნობა სულ უფრო მცირდება და ოჯახის წევრთა რაოდენობა უკვე ოთხზე ნაკლებია, მაგრამ სუფრის ღირებულებას ზრდის ის ფაქტორი, რომ ახალ წელს აქტიურია მისვლა-მოსვლა, სტუმრიანობა, მეკვლეობის ინსტიტუტი.



**„ამიტომ, სულ ცოტა, ექვს კაცზე უნდა ვიანგარიშოთ სუფრა. ახალი წელი მართლმადიდებლისთვის სამარხვო პერიოდია და მორწმუნეთა დიდი ნაწილი მარხულობს. ეს მომენტიც არ უნდა დავივიწყოთ და ამით უნდა შედგეს საახალწლო სუფრის ღირებულება. მე მაინც კომპრომისზე მივდივარ და, როცა საცივს ვახსენებ, გოჭის ხორცს გამოვრიცხავ. ამ დაჯამებით, ექვსკაციანი სუფრისთვის დაახლოებით 314 ლარზე ავდივარ. წინა წელთან შედარებით, საახალწლო სუფრის ღირებულება სადღაც 8,3%-ითაა გაზრდილი, რაც საშუალო ინფლაციის მაჩვენებელს ოდნავ აღემატება. ჩვენთან ჯერ არ დამკვიდრებულა ის კულტურა, რომ წინასაახალწლო პერიოდში ფასების მაქსიმალური შემცირება მოხდეს. პირიქით, ახალი წლის დღეებში ჩვენთან აჟიოტაჟური მოთხოვნაა და ყველაფრის ფასი მატულობს, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში კი პირიქითაა. მთლიანობაში, ჩვენს ბაზრებზე გოჭის ფასი სადღაც 85-დან 120 ლარის ფარგლებში მერყეობს, ინდაურის ფასი 60-70 ლარი. ოქტომბრის აჟიოტაჟური მოთხოვნის შემდეგ, როცა ნიგოზი 35-37 ლარი ღირდა, ახლა ნახევარჯერ და მეტადაც შემცირებულია და ნიგოზი 21-22 ლარად იყიდება. თაფლის ფასი გაზრდილია და (შარშანდელი 12-13 ლარის ნაცვლად) 16 ლარის ფარგლებშია. გაიზარდა ლიმონათის ტიპის სასმელებისა და ყველის ფასი“,** – აცხადებს სოსო არჩვაძე.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა აროშიძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ 2011 წლიდან მოყოლებული, 24 დეკემბრის ყველა ნავაჭრს აღნუსხავს და შეუძლია თქვას, რომ, 2011 წლიდან მოყოლებული, ბათუმის მასშტაბით ფასები პრაქტიკულად არაფერზე არ გაზრდილა, ანუ ყველი რაც ღირდა, ისევ 8-9 ლარია, 10-12-კილოიანი გოჭი 115-დან 125 ლარამდე მერყეობს. ნიგოზი 23-25 ლარი ღირს და სხვა.

**„თუ ძალზე ეგზოტიკური სუფრა არ გვინდა, ჩვეულებრივი 5-სულიანი ოჯახისთვის ახალ წელს სრულიად საკმარისია 550-600 ლარი. სურსათს შარშანაც ანალოგიური ღირებულება ჰქონდა. შარშან და შარშანწინდელთან შედარებით, კატასტროფულად გაძვირებული არაფერი არ არის. ახლა ბათუმის ბაზარზე 12 ლარი ღირდა ქათამი, ხორცი – 10-12 ლარი, თევზი – 8-9 ლარი, ყველი – 9 ლარი, შებოლილი სულგუნი – 12-13 ლარი. თუმცა საქართველოში პრობლემაა მოსახლეობის ძალზე დაბალი მსყიდველობითუნარიანობა. ამის გამო ერთჯერადად გაღებული საახალწლო ფასები მძიმე ტვირთად აწვება ქართულ ოჯახებს. მით უმეტეს, ქართული სტუმართმოყვარეობიდან გამომდინარე, სტუმრის პატივისცემა გაუჭირდებათ. არადა, ადამიანმა შეიძლება სხვა დღეებში მოიკლოს და ახალ წელს კარგი სუფრა დაახვედროს მეკვლესა და სტუმარს.**

**მანანა ნოზაძე**



# თბილისის საახალწლო განათების ჩრდილ-ნათელი

**თბილისის მერია ახალ წელს ახლებურად მორთული ქუჩებითა და ილუმინაციის განახლებული აქსესუარებით ხვდება. ვეღარსად ნახავთ წინა ხელისუფლების დროს შეძენილ ჭაღებს, რომლებსაც ძირითადად რუსთაველის გამზირზე კიდებდნენ ხოლმე. ოფიციალური მონაცემებით, საახალწლო ილუმინაციებისა და აქსესუარების განახლებაზე თბილისის მერიამ 750 ათასი ლარი დახარჯა, თუმცა, როგორც ბევრი თბილისელი შენიშნავს, ნაკლები ყურადღება დაეთმო პერიფერიულ ქუჩებს, სადაც ნაკლებად შეიგრძნობა წინასაახალწლო საზეიმო განწყობა.**

არადა, თბილისის მერიამ ქალაქში საახალწლო ილუმინაციებისა და აქსესუარების შესყიდვაზე 748 000 ლარის ტენდერი გამოაცხადა. როგორც „სინათლის ქალაქის“ ხელმძღვანელი თორნიკე კიზირია ამბობს, ტენდერში გაიმარჯვა კომპანია „ნუკო პლუსმა“, რომელმაც მორთო თბილისის ცენტრალური ნაწილი:

**„წელს გაკეთდა ისე, რომ რუსთაველი, ჭავჭავაძე, კოსტავა, მელიქიშვილი მთლიანად განახლდა, ანუ ახალი ილუმინაციები დამონტაჟდა, ხოლო სხვა ადგილებში რაც იყო ძველი, იმას ჩაუტარდა რეაბილიტაცია და გადანაწილდა ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ქუჩებზე. რაც შეეხება ჭაღებს, ისინი საერთოდ აღარ დავკიდეთ, იმიტომ რომ აღდგენას აღარ ექვემდებარებოდნენ“.**

ცხადია, თბილისის მერიისა და „სინათლის ქალაქის“ მესვეურთა ეს ძალისხმევა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თბილისელებს, რომელთა ნაწილი კმაყოფილებას ვერ მალავს, თუმცა ბევრია ისეთი, ვინც მერიას პერიფერიული უბნების იგნორირების გამო საყვედურობს.

თუმცა თბილისელთა ამ საყვედურის პასუხად, „სინათლის ქალაქში“ აცხადებენ, რომ საახალწლო ილუმინაციებს გასულ წლებში რომ გამოიყენებოდა, წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და დამონტაჟდა ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის გამზირებზე, პეკინის ქუჩაზე, ფილარმონიისა და ტელევიზიის მიმდებარედ კოსტავას გამზირზე, ვახუშტის ხიდზე, გლდანულის შესასვლელში, მუხიანში – დუმბაძის ქუჩაზე, ნაძალადევში – გადასასვლელი ხიდიდან კინო „საქართველომდე“, თუმცა თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი წევრი ირაკლი აბესაძე მიიჩნევს, რომ თბილისის მერიამ ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმო პერიფერიულ ქუჩებს და, სავარაუდოდ, პოლიტიკური მოტივით უარი თქვა წინა ხელისუფლების მიერ შეძენილი ჭაღების გამოყენებაზე.

თბილისის მერიამ ტენდერი გამოაცხადა ასევე საახალწლო ნაძვის ხის შეძენასა და მონტაჟზე, რომლის ღირებულება 175 ათასი ლარია. 22 მეტრი სიმაღლის მწვანე ნაძვის ხე რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, 19 დეკემბერს განთავსდა. ასევე ახალი განათებით მოირთო წმინდა გიორგის მონუმენტი, რაზეც 34 ათასი ლარი დაიხარჯა. როგორც „სინათლის ქალაქის“ ხელმძღვანელი თორნიკე კიზირია ამბობს, დაახლოებით მილიონ რვაასი ათასი ლარი დაჯდა თბილისის ანძის განათების შეცვლა:

**„მოძველდა და მწყობრიდან გამოვიდა თითქმის 80 პროცენტი, ამიტომ გაკეთდა მისი დემონტაჟი. იტალიურმა კომპანიამ გაიმარჯვა კონკურსში და მისი სანათები დაყენდა. ფაქტობრივად, მოვრჩით მონტაჟს და ამ დღეებში გავხსნით“.**

თბილისის ანძის განათების მოწყობის შემთხვევაშიც საკრებულოს ოპოზიციონერი წევრები ამბობენ, რომ ძველი განათების განახლება (და არა სრულად შეცვლა) მერიას თითქმის ორჯერ ნაკლები დაუჯდებოდა, თუმცა, როგორც ირაკლი აბესაძე ამბობს, წინა მოწვევის საკრებულოს ხელმძღვანელობამ პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება მიიღო.

საახალწლოდ თბილისში მოეწყო ასევე ყინულის მოედანი, რომლის მონტაჟის, ექსპლუატაციისა და დემონტაჟის ღირებულება 100 ათასი ლარია.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
**რადიო „თავისუფლება“**

**◉ რეგიონებში**

## გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე ილია დარჩიაშვილი, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად ქალაქ ქუთაისში ნიკეას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყებას დაესწრო.**

**ნიკეას ქუჩაზე არსებული გზის საფარი დაზიანებული და ამორტიზებული იყო, რაც მოძრაობის შეფერხებასა და ხერგილების შექმნას იწვევდა. არ იყო დაცული საგზაო უსაფრთხოების ნორმებიც. ქუჩის სრული განახლების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ავტოსატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა, რაც ქალაქს არსებულ ხერგილებისგან განტვირთავს და გადაადგილება უფრო უსაფრთხო და კომფორტული გახდება. აღსანიშნავია, რომ ნიკეას ქუჩა ქუთაისის ყველაზე დიდი ქუჩაა. ამჟამად, ქუჩის ერთი ნახევრის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომლის სიგრძეც 2 კმ და 200 მეტრია. გზის მეორე ნახევრის რეაბილიტაციას კი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებს.**



**ნიკეას ქუჩა სამზოლიანია, თითოეული მიმართულების სიგანე 11მ-ია. რეაბილიტაციის ფარგლებში დაიგება ორფენიანი ასფალტო-ბეტონის საფარი, სავალ ნაწილებს შორის გაკეთდება შემზღუდავი გამყოფი ზოლი მარადმწვანე ბუჩქებით. ქუჩის ორივე მხარეს მოეწყობა ახალი ტროტუარები. ამავდროულად, გამოიცვლება გარე განათება და სანიაღვრე სისტემა. პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 7 მლნ 200 ათასი ლარია.**

## ახალი გზა ხაშურიდან ვალემდე

**საერთაშორისო მნიშვნელობის ხაშური-ახალციხე-ვალეს (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის 2-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია რამდენიმე დღეში დასრულდება.**

**რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს: გზის სფუძვლის მოწყობას რეციკლირების მეთოდით, ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, ბეტონის პარაპეტების, საორიენტაციო ბოძკინტებისა და ლითონის ზღუდარების მოწყობას. ასევე, გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოებს.**

**სარეაბილიტაციო მონაკვეთზე ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ამ ეტაპზე თვალამრიდი ძელების, წყალგამტარი მილებისა და გზის გვერდულების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.**

**აღნიშნული გზა ერთმანეთთან საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას აკავშირებს. აღნიშნული გზით ხორციელდება საერთაშორისო მიმოსვლა და სატრანზიტო გადაზიდვები და შესაბამისად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგზაო მონაკვეთია. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 1 მილიონ 258.400 ათას ლარია.**

**ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი**

# რასთანაა დაკავშირებული ცვლილებები, რას ველოდოთ სამომავლოდ?



## უკანასკნელი დროის მოვლენები გვიჩვენებენ, თუ როგორ ელვისებურად იცვლება მსოფლიო

ჩვენი თანამოსაუბრეა ცნობილი იტალიელი მწერალი და პუბლიცისტი **ჯულიეტო კიეზა.**

**— ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა თქვენი ახალი წიგნი „მსოფლიო ომის ზღვარზე“. თქვენი აზრით, ისეთია სიტუაცია, რომ შესაძლებელია მსოფლიო ომი?**

— ჩემი აზრით, სახელწოდება ზუსტად ასახავს ამჟამინდელ სიტუაციას. მაგრამ როდესაც ასე ვლაპარაკობ, ვაწყდები წინააღმდეგობებს იტალიაშიც, რუსეთშიც. ეტყობა, ხალხს ეს არ უნდა და ეშინია ამის დაჯერებისაც.

გავიხსენოთ ორივე მსოფლიო ომი — ორივე დიდხანს მზადდებოდა. პირველი დაიწყო 1914 წელს, ემზადებოდა კი 10 წელი. მეორე მსოფლიო ომიც წინასწარ მზადდებოდა.

ახლა ჩანს, რომ ჩვენ გლობალური კატასტროფის წინა პერიოდში ვიმყოფებით. სიტუაცია, გადაჭარბების გარეშე, ორგზით უფრო სახიფათოა, ვიდრე წინა ორი ომის დაწყებამდე. ვხედავთ მთელი ეპოქის დასასრულს: პირველადაა კაცობრიობა ასეთ სახიფათო მოსახვევთან. ადრე იყო ბევრი დრამატული, სისხლიანი კრიზისი. ამჟამად უკვე არის არა კრიზისი, არამედ ცხოვრების ყველა პარამეტრის რადიკალური ცვლილება.

უკანასკნელ წლებში ჩვენ ვიყავით უსასრულო ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების შესაძლებლობის ილუზიაში. ეს კი შეუძლებელია. და სოციალურ-ეკონომიკური მოდელი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დიდხანს ვერ გაგრძელდება: 20 წლის შემდეგ მსოფლიო საგრძნობლად შეიცვლება.

რამდენიმე ციფრი. გასული საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს მოსახლეობა 1 მილიარდ 200 მილიონ კაცს ითვლიდა, ახლა კი — დაახლოებით 7 მილიარდს. წარსულის პოლიტიკური სისტემების გათვალისწინებით, შეუძლებელია ასეთი მსოფლიოს მართვა. ერთადერთი იმპერია — ამერიკული — მოითხოვს და სურს მიაღწიოს ნებისმიერ ფასად, რომ XXI საუკუნე იყოს ამერიკული. ეს შეუძლებელია, თუნდაც ამერიკა ყველაზე ძლიერი რომ იყოს. ყველაფერი, რაც ხდება, ამაზე მეტყველებს.

ჩვენამდე დედამიწაზე ბუნებასთან თანხმობაში ადამიანთა დაახლოებით 4000 თაობამ იცხოვრა. უკანასკნელმა 4-5 თაობამ დაარღვია ეს ჰარმონია. მაგრამ ჩვენ კვლავ ვცხოვრობთ ინერციით. დღეს მზე ამოვიდა და ხვალაც ამოვა, ზეგ კი... უკვე ეჭვი მეპარება.

წიგნში მე ვაფრთხილებ: ჩვენ ვართ პირველი თაობა, რომელიც ახალ პირობებში იცხოვრებს. რამდენად დრამატული იქნება ეს პირობები, ჩვენს შორსმჭვრეტელობაზეა დამოკიდებული. კრიზისი, მე ვიტყოდი, იძენს ეთიკურ, და არა მხოლოდ პოლიტიკურ ხასიათს. ესაა სწორედ: ყოფნა, არყოფნა? ვიცოცხლოთ თუ არ ვიცოცხლოთ? და როგორ ვიცოცხლოთ, როგორი ღირებულებებით? ერთი-მეორის მასობრივი დახოცვით?

და არ არის სწორი, რომ არ შეგვიძლია განვჭვრიტოთ მომავალი — ჩვენ გვაქვს პროგნოზირების ფუნდამენტური ინსტრუმენტები. ბუნებასთან ურთიერთობის ჰარმონიზების ჩვენი შესაძლებლობანი მაღალია.

მაგრამ მილიონობით ადამიანს ჩვენს ირგვლივ — რუსეთშიც, ევროპაშიც, ამერიკაშიც — რატომ აქვთ მცირე წარმოდგენა მომენტის დრამატიზმის შესახებ? მიზეზი — ინფორმაციის სისტემა მთლიანად მიმართულია იქითკენ, რომ მოგვატყუონ. ხალხი ფიქრობს, რომ თავისუფლად ცხოვრობს, მაგრამ ისინი ციხეში არიან.

კაცობრიობის გადარჩენისთვის ფუნდამენტური პუნქტია — შევქმნათ მასობრივი ინფორმაციის ახალი სისტემა.

**— დიახ, ადამიანებს თავს ატყდებათ ბევრი დამახინჯებული ინფორმაცია ჩვენს ირგვლივ, მაგალითად, ბორის ნემცოვის მკვლელობა, მალაიზიის „ბოინგის“ „გაქრობა“. მოვლენები, რომლებიც თითქოს ნაკლებად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ...**

— მომხდარი ამბები რომ გავიგოთ, უნდა გავათვითცნობიეროთ, რომ ლიბერალური დემოკრატია, როგორც ჩვენ იგი წარმოგვიდგენია, დიდი ხანია აღარაა. დარჩა ყდა, ცერემონიალები — უშინაარსო. მაგალითად, ვინ მოკლა ნემცოვი? ეს, აშკარაა, არის ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქციონირების შედეგი. მათ ესმოდათ: რეაქცია მოჰყვება ავტომატურად — ყველა ჟურნალისტი დაწერს ერთსა და იმავეს.

არ მაქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რეალურად ვინ მოკლა, მაგრამ სრულიად ზუსტია, რომ მათ, ვინც ამ მკვლელობებს აწყობს, შესანიშნავად იციან, თუ როგორ მოქმედებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ისევეა საქმე „ბოინგთან“ დაკავშირებითაც დონბასში. მე ვიყავი რომში, და კატასტროფიდან სამი წუთის შემდეგ ყველა იტალიურმა სააგენტომ, აგრეთვე როიტერმა, ასოშიეიტედ პრესმა თქვეს: „რუსებმა მალაიზიის თვითმფრინავი ჩამოაგდეს?“ ავტომატურად ათობით მილიონი ადამიანისთვის მანამდე, სანამ მომხდარის შესახებ რაიმე გაირკვეოდა, უკვე იყო ცნობილი, თითქოსდა, ოფიციალური დასკვნა.

მუშაობენ კვალიფიციური სპეციალისტები...

იმ ადამიანებს, ვინც ყოველივე ამას აწყობს, აქვთ დიდძალი ფული, შეუძლიათ იყიდონ ნებისმიერი მთავრობა. უკრაინისა იქნება იგი თუ იტალიის, ბელგიისა — ყველა ერად აღებული ან ცალ-ცალკე.



ამერიკული ბომბდამშენი B-2: სიკვდილის „აჩრდილი“

ახდენენ მათ შანტაჟირებას. თითოეული მეთვალყურეობის ქვეშაა, ყველა მათი კონტაქტი, ანგარიშები ბანკებში, ვისთან ცხოვრობენ — ყველაფერი კონტროლქვეშაა.

მთავრობათა ყველა ხელმძღვანელი ასეთ მდგომარეობაშია — არ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად. მაშასადამე, არა თუ არაა არანაირი დემოკრატია, არამედ არის ერთი იმპერია — ამერიკული — როგორც ინსტრუმენტი. იმპერია — ეს მხოლოდ ამერიკა როდია. იმპერია — ესაა არარსებული სახელმწიფო, რომელსაც ადამიანთა ჯგუფი მართავს. პოლ კრუგმანმა მათ „სამყაროს ბატონ-პატრონები“ უწოდა. იქ მხოლოდ ამერიკელები როდი არიან.

ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომა, რომ მათ ომში არ ჩაგვითრიონ.

**— დაიში, ან იგილი (ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, აკრძალული ორგანიზაციებია), როგორც ცნობილია, ასევე დასავლეთის ქმნილებაა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ ტუმბავენ ისინი ამ ძალას იმისთვის, რომ შექმნან მართვადი ქაოსი? მაშინ ადამიანები გადარჩენის გულისთვის, რათა შეაჩერონ ქაოსი, ელოდებოდნენ კიდეც და ითხოვდნენ ერთგვარ საკონცენტრაციო ბანაკს?**

— დიახ, მათ შექმნეს ეს ყოველივე. ხომ უაზრობაა, ვინმემ შექმნას არმია 70 ათასი ხიშტით, თუ არაა უზარმაზარი სახსრები. ისინი არიან შეიარაღებული, ორგანიზებული. მაშასადამე, საჭიროა მოინახოს, ვინ? ამერიკა? არა, არა მხოლოდ იგი. ესაა საუდის არაბეთიც, ყატარიც...

ვიკილიკსში წარმოადგინეს დოკუმენტები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რათა შეექმნათ ალიანსი, რომელიც გატეხავდა სირიას. საუბრობდნენ გულღიად. ისინი იძლეოდნენ ფულს დამასკოს წინააღმდეგ პროტესტისთვის, ისრაელი იძლეოდა ტექნოლოგიურ, საკომუნიკაციო ნოუ-ჰაუს. მაშასადამე, სუნიტებს უნდათ არა მხოლოდ ქაოსის შექმნა, ისინი აწყობენ ომს, რომელიც მესამე მსოფლიო ომის დასაწყისი შეიძლება გახდეს.

ამერიკისთვის ეს ხელსაყრელია. ქაოსი აიძულებს ყველას, დაივიწყონ, რომ მსოფლიო კრიზისის ნამდვილი ცენტრი მათთანაა. თავად კი აფეთქების ზღვარზე არიან...

1998 წელს ჯგუფი „ნეოკონი“ წერდა, რომ 2017 წელს ჩინეთი იქნება ყველაზე დიდი საფრთხე ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებისათვის. ახლა 2015 წელია, ძალიან ახლოა! ამერიკელებს ჰქონდათ იმედი: პირველი ეტაპი — გატეხონ რუსეთი. რუსეთი ხომ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს ამერიკა. რუსეთს ხომ აქვს შემაკავებელი სტრატეგიული ძალა. ჩინეთს — ჯერ არა, მაგრამ სამი-ოთხი წლის შემდეგ ექნება, მაშასადამე, უნდა გატეხო პირველი დაბრკოლება. ამიტომ ჩქარობენ ასე ძალიან.

მე, როგორც ევროპელს, მიმაჩნია: ევროპამ უნდა გაიგოს, რომ საქმე უნდა გქონდეს რუსეთთან, ვინაიდან სწორედ იგი დაგვიცავს ყველას ომისგან. ეს არის საკითხი უკვე არა იმის შესახებ, მოსწონს თუ არ მოსწონს... რუსეთი — ეს არის მოკავშირე ომის წინააღმდეგ. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია...

თუ რუსეთი დაიძლევა (არ ვფიქრობ, რომ ასე იქნება), ჩინეთი გახდება უმართავი. ჩინეთი სხვა ცივილიზაციაა, რომლის ჩაყლაპვაც დასავლეთს არ შეუძლია: 1 მილიარდ 400 მილიონი ადამიანი ისტორიისა და კულტურის ხუთი ათასი წლით. მათ, ვინც მიიმჩნევს, რომ შეუძლიათ დაძლიონ ჩინეთი, შეუძლიათ გააკეთონ ეს ერთი ხერხით — გატეხონ იგი. მაგრამ ეს ომი იქნება უკანასკნელი ყველასათვის. შეიძლება ვინმე გადარჩეს, მაგრამ რა იქნება ირგვლივ?

**— თქვენ მკვეთრად აკრიტიკებთ ხელისუფლებებს, ზოგჯერ მათი იდეოლოგიისა და მოქმედებების მიმართულებისაგან დამოუკიდებლად. რა არის საშიში?**

***— ღირს კი, რომ ყველა აკეთებდეს ამას? ღირს. ვღებულობ გამოხმაურებებს: „წავიკითხე თქვენი წიგნი. ბევრი რამ გამოვარკვიე და ბევრ რამეს მივხვდი“...***

წიგნში „კატასტროფის ნაცვლად“ მე ვწერ, თუ როგორ შეიძლება თავი დავიცვათ. მთავარი ტერიტორია, რომელიც ადამიანებმა უნდა დაიცვან, — ესაა ინტელექტი. ადამიანი, რომელიც იცავს თავის ინტელექტს, მეტად ძლიერია და შეუძლია უხელმძღვანელოს სხვებს. და, რასაკვირველია, მთავარია ჩვენი სხეულის, თავად სიცოცხლის დაცვა. ადამიანის ფუნდამენტური უფლება — სიცოცხლეა.

ეს დემოკრატიის ახალი ფორმა — არის არა წარმომადგენლების ლიბერალური დემოკრატია, არამედ დემოკრატია, როდესაც მილიონობით ადამიანი იცავს თავს, ადგილს, სადაც ცხოვრობს.

ჩვენ არ ვიცით, სად არიან „სამყაროს ბატონ-პატრონები“. არ ვფიქრობ, რომ ბილდერბერგი — ესაა ადგილი, სადაც გადაწყვეტილებებს ღებულობენ. ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს არ ღებულობენ უმცირესი საჯაროობის დროსაც კი.

ჩვენი დაცვა — ესაა წინააღმდეგობის პუნქტების გამრავლება. გამრავლება იმ მომენტამდე, როდესაც მათ უკვე აღარ შეეძლებათ ყველა ჩვენგანის დევნა... და ჩემთვის ყველაზე საინტერესო ეს საქმეა. თუ რამე ვიცი, დუმილი არ შემიძლია.

**— რა მდგომარეობაშია იტალიაში მემარცხენე მოძრაობა? შეუძლია კი მას დაუპირისპირდეს „მსოფლიოს ელიტების“ გლობალიზაციასა და სისხლიან თამაშებს?**

— მემარცხენე ძალები ევროპაში, როგორც ძლიერი ოპოზიცია, უკვე აღარ არსებობს. ეს სსრ კავშირის დანგრევის ერთ-ერთი შედეგია. მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირში არ ყოფილა კომუნიზმი და სოციალიზმი. იყო დროებითი ფორმირება, რომელსაც არ შეეძლო დიდხანს ეარსება, ვინაიდან ვერ შეძლო აეშენებინა სრული სახით დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგობის სისტემა. მაგრამ მილიონობით ადამიანმა დაინახა, რომ არის ალტერნატივა. იგი გაქრა.

ეს ერთი. მეორე — დასავლეთში ყველა სოციალურ-დემოკრატიულმა, კომუნისტურმა პარტიამ გაიგო, რომ საჭიროა ადაპტირება. და ახლა მემარცხენეე-

ბი ევროპულ პარლამენტში ხმას აძლევენ მემარჯვენეებთან ერთად — იქმნება კონსერვატორებისა და მემარცხენეების ანტისახალხო ალიანსები. ასეთ მემარცხენეებზე დაივიწყეთ — მათგან არაფერს კარგს არ უნდა ველოდოთ!

არის სხვა ძალები. ჩვენ ვხედავთ პოლიტიკურ რევოლუციას, იგი მიმდინარეობს დამოუკიდებლად, ლიდერების გარეშე. ევროპაში უკანასკნელი არჩევნების შედეგებით ძველი პარტიები (მემარცხენეებიც, მემარჯვენეებიც) კარგავენ ნდობას. ესპანეთში იზრდება ახალი პოლიტიკური ძალა. მისმა წარმომადგენლებმა ჯერ პარლამენტში არა, მაგრამ უკვე დაიპყრეს მუნიციპალიტეტები მადრიდში, ბარსელონაში...

იქნება რევოლუციური სიტუაცია, სხვათა შორის უპრეცედენტო. დიდ ბრიტანეთში იყო ორი პარტია — ლეიბორისტები და თორი. უკანასკნელი არჩევნების მიმდინარეობის დროს ერთმა პარტიამ, რომელიც ადრე არ არსებობდა UKIP-მა გაიმარჯვა და გახდა პირველი უპრეცედენტო შემთხვევა. ასევეა იტალიაშიც. უკანასკნელი არჩევნების მიხედვით ახალმა პარტიამ „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა“ 9 მილიონი ხმა მიიღო — 25 პროცენტი. საფრანგეთში ასევე ამაღლებას განიცდის პარტია მარინ ლე პენი. მარინი ამბობს: ***„თუ პრეზიდენტი ვიქნები, დავსვამ საკითხს საფრანგეთის გამოსვლის შესახებ ნატოდან“.*** „სირიზა“ საბერძნეთში — ასევე ფენომენია. თუ ყველას ერთად ავიღებთ, გამოვა, რომ მიმდინარეობს ნამდვილი პოლიტიკური რევოლუცია. რატომ? ევროპა 40 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ერთი სოციალური პაქტის ბაზაზე. ელიტებმა თქვეს: ***„მოგვეცით ხმა, ჩვენ კი მოგცემთ თქვენ ძალიან კარგ ევროპულ მოდელს“.*** კეთილდღეობა, საშუალო ფენები ცხოვრობდნენ კარგად, ღარიბი ხალხი ცოტაა...

მაგრამ კრიზისი ყველაფერს ცვლის.

ვფიქრობ, მემარცხენე ძალებს არ შეუძლიათ, იყვნენ სერიოზული ძალა, ვინაიდან ყველაფერი დაკარგეს. გახდნენ კორუმპირებულები. საჭიროა ახალი თაობა, ახალი ადამიანები, რომელთა დაშანტაჟებაც შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით მე ოპტიმისტურად ვუყურებ სიტუაციას: ორი-სამი წლის შემდეგ, თუ დიდ კრიზისს გადავიტანთ, ევროპის პოლიტიკური გეოგრაფია შეუცნობელი გახდება...

**— იტალიაში არის ზეგავლენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო — ვატიკანი.**

— ყველაფერი, რაც ახალი პაპის ფრანცისკის მოსვლასთან ერთად იცვლება — რეალური წინსვლაა.

კათოლიკური ეკლესია იყო და არის დიდ კრიზისში. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მან, სულ ცოტა, მოახდინა დასავლეთთან თავისი იდენტიფიცირება. ახლანდელი პაპი კი მიხვდა: თუ კათოლიკური ეკლესია გააგრძელებს იმავე კურსით სვლას, იგი უზარმაზარ მრევლს დაკარგავს. დასავლეთის ყველა ქვეყანა — ეს დაახლოებით 900 მილიონი კაცია, მოსახლეობის დანარჩენ 6 მილიარდს არ შეუძლია, იცხოვროს, როგორც სხვაზე დამოკიდებულებმა. ფრანცისკმა გაიგო, თუ რა იყო საჭირო, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ იარსებოს და განახორციელოს ახალი პრინციპები... შენ კი როგორ შეგიძლია ისინი გაავრცელო, თუ შენი რწმენა ყველა დანარჩენის წინააღმდეგია? შენ დაკარგავ 6 მილიარდ ადამიანს, რათა, როგორმე შეინარჩუნო ლამის 1 მილიარდი?

ამჟამად ვატიკანში სულ უფრო და უფრო მეტი მღვდელია ინდოეთიდან, ლათინური ამერიკიდან... ხდება გიგანტური შემოტრიალება — პირდაპირი შეტაკება კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ. მიაქციეთ ყურადღება, ამერიკის შეერთებული შტატების პირველი რეაქცია პაპის განცხადებებზე იყო მეტად უარყოფითი. მაგრამ იწყება ბრძოლა ამერიკაში კათოლიკური ეკლესიის შიგნითაც კი. ეს სერიოზული რამეა. მე წავიკითხე რომის პაპის ენციკლიკა, 90 პროცენტით ვეთანხმები იმას, რაც მან დაწერა. პაპი უკვე ორჯერ ამბობდა: „ფრთხილად, ჩვენ მესამე მსოფლიო ომისაკენ ვეშვებით“. სწორედ ამიტომაც მიმაჩნია ის დიდ მოკავშირედ.

პუტინი შეხვდა მას, ეს იყო ძლიერი პოლიტიკური ნაბიჯი, რომელმაც განამტკიცა პუტინის ავტორიტეტიც და რუსეთისაც მთლიანად.

**— თქვენ დაიწყეთ სიყალბის წინააღმდეგ ბრძოლა, მათ შორის ამერიკისაც, საინფორმაციო ველში. ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებში თქვენ, აშკარად, არ უყვარხართ...**

— დიახ, მიმდინარე მოვლენები, იქნებ, სახიფათოც კია ჩემთვის, მაგრამ მე ვუყურებ მათ და ვხედავ, თუ როგორი გაღიზიანებულები არიან ისინი, როგორ ვეჯავრები მე მათ. მიუხედავად ამისა, არ შეუძლიათ შეჩერდნენ. და რაც მეტი ადამიანი გაიგებს ჩემ შესახებ, მით უფრო რთული იქნება მათთვის ამის გაკეთება. მათ არ შეუძლიათ შემომიტიონ ღიად, ვინაიდან მე მაქვს ჩემი ისტორია, ასევე ძნელია იმის თქმა, რომ მე ვარ გიჟი, და ა.შ. მაშინ მათ აირჩიეს სხვა გზა — დუმილის გზა. მე უგულებელმყოფენ. თუ უფრო ძლიერი ფიგურა ვიქნები, რასაკვირველია, უფრო მეტად გამიჭირდება. მაგრამ მე ჩემი საქმიანობისაგან მხოლოდ კმაყოფილებას ვღებულობ. შევცვალოთ მსოფლიო უკეთესობისაკენ — რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი?

**ესაუბრა**
**ეკატერინე გლუშიკი**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

**◉ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული**

# რატომ აღვნიშნავთ მაცხოვრის შობას მართლმადიდებლები 7 იანვარს, დასავლურ-ქრისტიანული სამყარო კი 25 დეკემბერს?

**შობის დღესასწაული მართლმადიდებლური სამყაროს უდიდესი და გამორჩეული მოვლენაა, საქართველო ტრადიციულად 7 იანვარს აღნიშნავს მაცხოვრის შობას, მაგრამ ყოველი დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად თავს იჩენს ასევე ტრადიციული კითხვები:**

**რას ნიშნავს „ძველი“ და „ახალი“ სტილი? რატომ ვდღესასწაულობთ მაცხოვრის შობას მართლმადიდებლები 7 იანვარს, დასავლურ-ქრისტიანული სამყარო კი — 25 დეკემბერს? ან რატომ ვდღესასწაულობთ ახალი წლის შემობრძანებას ორჯერ?**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მოსახლეობის გათვითცნობიერება ორიოდე სიტყვით ძალიან რთულია, ვინაიდან ეს საკითხი ოდითგანვე ღრმა ანალიზისა და კვლევის საგანს წარმოადგენდა. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი და ერთადერთი ჭეშმარიტება არის ის გზა, რომელიც ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ გაიარა და რომლისგანაც საუკუნეების მანძილზე არც ერთი მისხალით არ გადაუხვევია.



ქრისტეს შობამდე I საუკუნეში, 44 წელს, რომის იმპერატორმა იულიუს კეისარმა ეგვიპტელი მეცნიერების დახმარებით ახალი კალენდარი შემოიღო, რომლის მიხედვით წელიწადის პირველ დღედ 1 იანვარი გამოაცხადა. ხსენებული კალენდარი ეკლესიის წიაღში არ შექმნილა და არც კეისარი გახლდათ საეკლესიო მოღვაწე. კალენდარი არ იყო ქრისტიანობისდროინდელი, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით დროის ათვლის ყველაზე სრულყოფილ მოდელს წარმოადგენდა. ეკლესიამ იულიუსის კალენდარი შეითვისა არა როგორც სარწმუნოებრივი ღირებულების შემცველი სისტემა, არამედ როგორც მეცნიერული აზრის მონაპოვარი.

IV საუკუნიდან, როდესაც იულიუსის კალენდარი საეკლესიო მსახურების წიაღში მოექცა, იგი უწმინდეს დღესასწაულთა აღმნიშვნელი გახდა. 325 წელს, ნიკეაში გამართულ მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე ამ საკითხზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს. იქიდან მოყოლებული, მართლმადიდებელი ეკლესია იულიუსის კალენდრით, ანუ ძველი სტილით აღნიშნავს ყველა საეკლესიო დღესასწაულს. კეისრის დროინდელი კალენდრისგან ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ საკულტო ორიენტირების ნაცვლად კალენდრის ცენტრალური ადგილი მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის თარიღმა დაიკავა.

1582 წელს კალენდრის „რეფორმა“ მოხდა რომის პაპ გრიგოლ II ინიციატივით და იულიუსის კალენდრის პარალელურად გრიგორიანულიც იქნა შემოღებული, რომლის შედეგად ეს უკანასკნელი ყველა უძრავ მართლმადიდებლურ დღესასწაულს დაშორდა ათი დღით, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში „დროის დეკრეტით“ სამი დღეც დაემატა. ჯერ კიდევ 325 წელს, ნიკეის მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე ბრწყინვალე აღდგომის თარიღის აღნიშვნის საკითხიც იქნა განხილული. წმ. მეფე კონსტანტინე დიდმა ნიკეიდან ეპისტოლეები გაუგზავნა ყველა იმ ეპისკოპოსს, რომლებიც წმიდა კრებას არ ესწრებოდნენ. ეპისტოლეს ერთ-ერთ ფრაგმენტში წერია: „...დაე, თქვენმა კეთილგონიერებამ განსაზღვროს, თუ რამდენად არასაქებარია და საძრახისი, რათა ერთსა და იმავე დღეებში ერთნი მარხულობდნენ და სხვანი კი იხსნილებდნენ და აღდგომის დღის შემდეგ კი პირველნი ზეიმობდნენ და იშვებდნენ, მეორენი კი მარხულობდნენ“.

მართალია, აქ ბრწყინვალე აღდგომაზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ უდავოა, რომ წმიდა მამებს მხედველობაში ექნებოდათ სხვა საეკლესიო დღესასწაულებიც.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კალენდრის დაზუსტება ან დახვეწა, ან მასში რაიმე ცვლილების შეტანა სათანადო დასაბუთებისა და შეთანხმების გარეშე ფრიად საზიანოა ეკლესიის ერთობისათვის. ეს საკითხი მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე გადაწყდა და მისი შეცვლა მხოლოდ მსოფლიო კრების კომპეტენციაში რჩება. ამგვარი დასაბუთება ახალი სტილის გარდაუვალი აუცილებლობის შესახებ არ არსებობს და შესაბამისად, არც საყოველთაო შეთანხმებაა მიღწეული. ყველაზე „ხილული“ და მყარი არგუმენტი, რაც ყველასთვის ნათელია და რაც აღიარებს ძველი სტილის უპირატესობას ახალთან შედარებით, მაცხოვრის საფლავზე, აღდგომის დღის დადგომისთანავე, იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქის სანთლებზე ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლაა (და სხვა სასწაულები, რომლებიც იულიუსის კალენდრის მიხედვით აღესრულება)! ღვთის მიერ მოვლენილი ეს ზეციური სასწაული სწორედ იმის დასტურია, რომ ძველი სტილი, ანუ ის გზა, რომელსაც განუხრელად ადგას მართლმადიდებელი ეკლესია, არის სრულიად გაცნობიერებული, ერთადერთი ჭეშმარიტი პოზიცია, რომელიც ყველაზე უკეთ არეგულირებს საეკლესიო ცხოვრების ჰარმონიულ რიტმს. სწორედ ეს არის იულიუსის კალენდრის დოგმატური ღირსება, რომელსაც მყარად იცავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ქრისტეშობა აღდგომის შემდეგ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია. ჩვენში ეს 7 იანვარს აღინიშნება. ყოველმა მართლმადიდებელმა მორწმუნემ, რომელიც თავს ეკლესიის წევრად მიიჩნევს, უნდა იცოდეს, თუ რომელი კალენდრით ცხოვრობს მისი ეკლესია. ამიტომ ჩვენ, როგორც დედაეკლესიის წევრები, ვალდებულნი ვართ, მხოლოდ და მხოლოდ ძველი კალენდრის მიხედვით ვიზეიმოთ ქრისტეშობაც და სხვა ყველა ქრისტიანული დღესასწაულიც.

რაც შეეხება ახალ წელს, ეს საერო დღესასწაულია და ახალი სტილით 1 იანვარს შეესაბამება. 1 იანვარს, როდესაც საერო კალენდრით მთელ პლანეტაზე ახალი წელი დგება, საქართველოში არაეკლესიური ხალხი სუფრითა და ზეიმით ხვდება ამ თავსმოხვეულ დღესასწაულს, მომარხულეები კი 7 იანვარს, ანუ ნამდვილ 25 დეკემბერს — ქრისტეშობას გაიხსნილებენ.

**წყარო:** www.orthodoxy.ge

**◉ ალიან-ჩალიანი**

## შალვას „გულჩვილობა“ და პრეზიდენტის „გულქვაობა“



**დედაქალაქის ყოფილი მერის გიგი უგულავას შეწყალებას ჟურნალისტი შალვა რამიშვილიც ითხოვს. ამის შესახებ განცხადებას იგი სოციალური ქსელით ავრცელებს.**

**„გიგი უგულავა არ ზის ორმოცდამეათე პატიმრად 12-საწოლიან საკანში. ის ზის მარტო და სავარაუდოდ, გამოსვლამდე ასე იჯდება გადაკეტილი. გიგი უგულავას არ ურტყამენ ხელკეტს თირკმლებში საკანში სიცილისთვის. მას იქ ტელევიზორი აქვს. გიგი უგულავა არ დარდობს იმას, რომ ოჯახი შიმშილით ამოუწყდება. გიგი უგულავას არ დაუჭრიან ლეიბს და ტანსაცმელს ჩხრეკისას. მოკლედ, გიგი უგულავა არ ზის ისე, როგორც იჯდა მისი მერობისას ციხეში მყოფი ათიათასობით მოქალაქე.**

**მაგრამ სულ არ მინდა, რომ წამებულის მანტია ჰქონდეს მოსხმული გიგი უგულავას. ამიტომ უნდა შევიწყალოთ გიგი“, — წერს facebook-ის საკუთარ გვერდზე რამიშვილი.**

## პატიმართმოძულე და ქალთმოძულე ელისაშვილი

**პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ფიქრობს, რომ შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი არამარტო პატიმართმოძულეა, არამედ ქალთმოძულეცაა.**



**როგორც ბესელიამ განაცხადა, მას ელისაშვილი პირდაპი ეთერში არ უჯდება, რადგან მას საზოგადოების თვალებში შეხედვის ეშინია. „ამ შეთავაზებას ბოლომდე ძალაში ვტოვებ. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, საქმე რა სახიფათო მატყუარასთან გვაქვს. მედიას გთხოვთ, მას ერთი კონკრეტული კითხვა დაუსვით — ეკა ბესელია რა ფორმით, რა საშუალებით და რა მეთოდით ახდენდა მასზე რაიმე სახის ზეწოლას?! ეს ადამიანი არამარტო პატიმართმოძულეა, არამედ ქალთმოძულეცაა“, — დასძინა ბესელიამ.**

## ქართველი სამხედროები ისევ აფრიკულ მისიაში



**მალიში მიმდინარე სამშვიდობო მისიაში ქართველი სამხედრო მოსამსახურეები იანვრიდან კვლავ ჩაერთვებიან. ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა პარლამენტის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.**

**„მალიში შეწყვეტილი გვქონდა მცირე ხნით მისია, 7 იანვარს გაიგზავნებიან ისევ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები. ცენტრალურ აფრიკაში მისიას ვაგრძელებთ, ავღანეთში ვაგრძელებთ, იმავე რაოდენობით, რაც გვყავდა. თუ რამე ცვლილება იქნება, პირველ რიგში, პარლამენტის თანხმობა დაგვჭირდება და თქვენს გარეშე ამას ვერ გავაკეთებთ“, — მიმართა დეპუტატებს თინათინ ხიდაშელმა.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ახალი მთავრობა – ძველი სახეები და გეგმები

**საქართველოს პარლამენტში მთელი დღის განმავლობაში უსმენდნენ „ქართული ოცნების“ მთავრობის მინისტრობის კანდიდატებს. მინისტრთა კაბინეტს ნდობის მორიგი ვოტუმი დასჭირდა მას შემდეგ, რაც ამჯერად უკვე ექსმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 23 დეკემბერს გადადგა. განთავისუფლებულ პოსტზე წარადგინეს ყოფილი ვიცეპრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. მოლოდინის მიუხედავად, მან არ დაიწყო მთავრობის შემადგენლობის შეცვლა.**

„ქართული ოცნების“ ახალ მთავრობაში არც ერთი ახალი სახე არაა. ერთადერთი ცვლილება გიორგი კვირიკაშვილის მიერ წარმოდგენილ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში – ეს არის ის, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე თავად კვირიკაშვილს შეცვლის მისი მოადგილე მიხეილ ჯანელიძე.

არანაირი ცვლილებები არაა მთავრობის პროგრამაშიც, მათ შორის მის სახელწოდებაშიც – „ძლიერი დემოკრატიული ერთიანი საქართველოსათვის“. თითქმის იგივე შემადგენლობა, ირაკლი ღარიბაშვილის გამოკლებით, გააგრძელებს მუშაობას კაბინეტში.



პრემიერის ნებაყოფლობითი გადადგომის შემდეგ მისი კაბინეტის ზოგიერთ მინისტრს უწინასწარმეტყველებდნენ გათავისუფლებას. მათ შორის, ვისაც „უწინასწარმეტყველებდნენ“ პოსტის დატოვებას, იყო შერიგებისა და სამოქალაქო თანაბარუფლებიანობის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი. მოლოდინი არ გამართლდა, ზაქარეიშვილი სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის რანგში წარდგა საპარლამენტო უმრავლესობის წინაშე მისი უწყების მიერ გაწეული წარმატებული მუშაობის შესახებ. ზაქარეიშვილი ამტკიცებს, რომ საქართველოში გამოყოფილი რეგიონების გამყოფი ხაზის გასწვრივ „მიმდინარეობს დეესკალაციის პროცესი“:

**„ჩვენი ერთობლივი პოლიტიკა – ჩემი და ჩემი კოლეგებისა – რაც მიზნად ისახავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, მეტ-ნაკლებად შედეგიანია. მიგვაჩნია, რომ საჭიროა გავაგრძელოთ ეს პოლიტიკა. პრაქტიკულად შეწყდა ინციდენტების ოდენობა გამყოფი ხაზის გასწვრივ. ხოლო სადაც ისინია, ძირითადად ეს შეეხება ადამიანების გატაცებას. მინიმუმამდეა დაყვანილი მათი დაკავების ვადები ციხეში (ცხინვალი). მათ ისინი დაკავებული ჰყავთ დაახლოებით 2-3 დღე, არაუმეტეს“,** – პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, რომ ადრე ეს ვადა გაცილებით უფრო ხანგრძლივი იყო.

არ გამართლდა ხმები კიდევ ერთ მინისტრთან – საფინანსო უწყების ხელმძღვანელ ნოდარ ხადურთან – დაკავშირებით. მან, როგორც მთავრობის სხვა წარმომადგენლებმა, ამაყად განაცხადა თავისი სამინისტროს წარმატებების შესახებ.

**„ამ წუთის მდგომარეობით, საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი უკვე შესრულებულია. ბიზნესი გათავისუფლდა ხელისუფლების ტერორისაგან, მათ შორის საგადამხდელო ინსტიტუტებისგანაც. და ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ბიუჯეტი შეიძლება შეასრულო ჩვენზე ზემოქმედების გარეშე“.**

გუნდის წევრებს თავად გიორგი კვირიკაშვილი შეუერთდა დღის მეორე ნახევარში. იგი წარსდგა ოპოზიციური ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წინაშე. ეკონომიკური ბლოკის მინისტრებისაგან განსხვავებით, მომავალმა პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ ბევრი რამეა გასაკეთებელი ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. იგი საუბრობდა იმის შესახებაც, რომ საქართველოს კურსი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე ძალაში რჩება, აგრეთვე ტურიზმის განვითარების აუცილებლობის შესახებ ქვეყანაში. მომავალი პრემიერ-მინისტრი შეეხო რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობასაც:

**„ჩვენ გავაგრძელებთ პრაგმატიზმს რუსეთთან დაკავშირებით. უეჭველია, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციამ პატივი უნდა სცეს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს“.**

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ აბაშიძემ გიორგი კვირიკაშვილს გადასცა „ქართული ოცნების“ პროგრამის ტექსტი და ურჩია ყურადღებით წაიკითხოს იგი, შემდეგ კი თქვას, რომელი დაპირებები შეასრულა მან და რომელი – არა. საპასუხოდ კვირიკაშვილმა მოუწოდა ოპონენტებს ნუ გახდებიან სპექტაკლის მონაწილეები, რომლის მიზანიცაა – საზოგადოების გათიშვა. სხვათა შორის, ანალოგიური პრეტენზიები ოპონენტებს აქვთ თავად კვირიკაშვილის მიმართაც. ის, რომ მან დატოვა ხელუხლებლად მინისტრთა კაბინეტი, ოპოზიციისთვის არის მხოლოდ იმის დადასტურება, რომ ყველაფერი მიდის „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის სურვილის მიხედვით.

„თავისუფალმა დემოკრატებმა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას „ქართული ოცნების“ მთავრობის ნდობის ვოტუმის გამოცხადებაში. კენჭისყრა ერთი დღის შემდეგ გაიმართება, მაგრამ შედეგი წინასწარაა ცნობილი. ახალ მთავრობას გარანტირებული აქვს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერა. მეოცნებე დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები და ახალი წინადადებები ახალ პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილისაგან მოსალოდნელია გაზაფხულისთვის, როდესაც იგი შეეჩვევა ახალ თანამდებობას.

Эхо Кавказа

# დედამიწის ზურგზე



## საუდის არაბეთში საწვავის ფასმა მოიმატა

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის რეკორდულმა დაცემამ ასახვა საუდის არაბეთის ეკონომიკაზეც ჰპოვა. „შავი ოქროს“ გაუფასურების გამო ქვეყნის საბიუჯეტო დეფიციტმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. შექმნილი ვითარების ფონზე საუდის არაბეთის ხელისუფლება იძულებული გახდა შიდა სამომხმარებლო ბაზარზე საწვავის ღირებულება გაეზარდა. დღეის მონაცემებით, ერთი ლიტრი საწვავი საუდის არაბეთში 24 ამერიკული ცენტი ღირს, რაც წინა კვირის მაჩვენებელზე ერთნახევარჯერ მეტია. საუდის არაბეთი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი და ექსპორტიორია.

## ბელგიაში ორი ეჭვმიტანილი საახალწლო ტერორისტული აქტების მომზადებაში დააკავეს

დაკავებულებს აღმოუჩინეს სამხედრო ფორმა და ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფო პროპაგანდისტული მასალები. იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები ვერ აღმოაჩინეს.

## აფეთქებათა სერიები – სტამბოლის სადგურზე

სტამბოლში გაიგონეს ერთი-მეორეს მიყოლებული ხუთი აფეთქების ხმა, აღნიშნავენ ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ხანძარი, რომელიც დაიწყო სტამბოლში ხაიდარფაშას სადგურის შენობასთან, ჩააქრეს ექსტრემალური სამსახურების თანამშრომლებმა. აფეთქების მიზეზი ირკვევა. ზოგიერთი მონაცემებით, რამდენიმე კაცი დაიჭრა.

## 2016 წელს პოლონეთი რუსეთთან დამოკიდებულებაში „მტაცებელი“ გახდება, აკეთებენ პროგნოზს სტრატფორში

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, ვარშავა დაშორდება ბერლინსა და ბრიუსელს და დაიწყებს მჭიდრო თანამშრომლობას ეგრეთწოდებული ვარშავის ჯგუფის ქვეყნებთან – უნგრეთთან, სლოვაკიასთან და ჩეხეთთან. ევროკავშირში შემოიღებენ შეზღუდვებს შესვლისათვის, ამას გარდა მოხდება ევროკავშირის „ფრაგმენტაცია“.

## პატიმართა მასობრივი გაქცევა არგენტინაში

ბუენოს აირესის ციხიდან განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები გაიქცნენ. მათგან სამი სამუდამო სასჯელს მკვლელობისა და ადამიანთა გატაცებისთვის იხდიდა. ბუენოს აირესის გუბერნატორის აირეს მარია ევგენია ვიდალის ვა-



რაუდით, მსჯავრდებულებმა გაქცევა ციხის ადმინისტრაციის დახმარებით შეძლეს.

## ავსტრალიაში ორ მინისტრს ჩამოართვეს პოსტები, რითაც მთავრობის „ინტელექტის დონე აამაღლეს“

ქალაქებისა და ანთროპოგენული გარემოს საქმეთა მინისტრი გადადგა ჰონკონგში პოპულარულ ბარში ყოფნის გამო, რის შემდეგაც მას უჩივლა თანამშრომელმა ქალმა, კიდევ ერთი მინისტრი არის ფიგურანტი პარლამენტის ექსსპიკერის საქმესთან დაკავშირებით. ერთ-ერთი დეპუტატის სიტყვებით, მთავრობა დატოვა ორმა ყველაზე საზიზღარმა პიროვნებამ.

## ირანმა რუსეთში გაგზავნა ხომალდი დაბალი გამდიდრების 11 ტონა ურანით

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ აღნიშნა, რომ „რუსეთმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი, როდესაც ეს მასალები წამოიღო ირანიდან, სამაგიეროდ გადასცა მას ბუნებრივი ურანი“. ამგვარი გაცვლა ხდება ირანთან და „ექვსეულის“ ქვეყნებთან მიღწეული შეთანხმების ფარგლებში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით.

## ბულგარეთში დააკავეს რუსეთელი, რომელსაც მოსკოვის მოთხოვნით ინტერპოლი ეძებდა

რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ბრალი ედება რუსეთში განსაკუთრებით დიდი მოცულობით ყალთაბანდობაში. სამართალდამცავების ვერსიით, მან შეძლო სამშობლოში მიეთვისებინა 1,8 მილიონზე მეტი დოლარი. მისი დაკავება მოხერხდა ბულგარეთში. სადაც იგი იმალებოდა 2014 წლის ოქტომბრიდან.

## თალიბანის ლიდერები პუტინთან შეხვედრას არ ადასტურებენ

თალიბანი გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოსდა დაჯგუფების ლიდერი მულა ახტარ მანსური რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა, კატეგორიულად უარყოფს. დაჯგუფების განცხადებაში ნათქვამია, რომ თალიბები გარე ძალების დახმარებას არ საჭიროებენ. სკანდალური ინფორმაცია პუტინისა და მანსურის შეხვედრის შესახებ გაზეთმა Sunday Times-მა გაავრცელა.



**ახლახან ჩვენმა რედაქციამ ცნობილი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის, ჭეშმარიტი მამულიშვილისა და პატრიოტის, ბატონ გურამ პეტრიაშვილის მოსალოცი**



**ბარათი მიიღო. „გულოცავ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას და მის ათიათასობით მკითხველს დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ყველას ბედნიერებას და საოცნებო საერთო სიხარულს — დიდს, ძლიერს, მდიდარსა და ზნემაღალ საქართველოს!“**

**რედაქცია დიდ მადლობას მოახსენებს მოლოცვისთვის ბატონ გურამს და მისივე თავაზიანი თანხმობით აქვეყნებს მის ერთ ზღაპარს.**



# ჭიამაია და პისტოლეტი

იყო ერთი ჭიამაია.

არცთუ მაინცადამაინც დიდი, არც ძალიან პატარა.

მოკლედ, საშუალო სიდიდის ჭიამაია იყო. მაინც რამხელა? აი, მაგალითად, პისტოლეტის ლულაში შეეტეოდა.

თუმცა გარეგნულად სხვა ჭიამაიებისაგან არაფრით განსხვავდებოდა, ჭკუით ნამდვილად ყველა ჭიამაიასა სჯობდა.

გაჩნდა თუ არა ამ ქვეყანაზე, ცნობისმოყვარეობა დაჰყვა. სულ ფიქრობდა, რატომაა რომ სხვა ყველა არსება თავისი სარჩოს შოვნითაა დაკავებული, ხოლო აი, ეს ორფეხა არსებები, რომლებსაც ადამიანები ჰქვიათ, ხშირად ისეთ რამეებსაც სჩადიან, რასაც საჭმლის მოპოვებასთან არაფერი კავშირი არა აქვსო.

ასე მაგალითად, აშენებენ ხიდებს და მაღალ სახლებს, იგონებენ მოგუგუნე მანქანებს და ათასნაირ რაღაც მოწყობილობებს, ხან ზეცაში ავლენ, ხან კი ზღვის ფსკერზე ჩაეშვებიან უცნაური ტანსაცმლით, რომელსაც სკაფანდრებს ეძახიანო.

სულ ადამიანთა შორის დაფრინავდა ჭიამაია და ყოველთვის ცდილობდა გამოეცნო, თუ რას რატომ სჩადიოდნენ ეს უცნაური ვინმეები.

ერთხელ კი გადაწყვიტა, მოდი სახლშიაც გავყვები რომელიმე ადამიანს და უფრო მეტს გავიგებ მათზეო.

და მართლაც, ამოირჩია ერთი ჩვეულებრივი გამვლელი და უკან გაჰყვა ფრენით.

მისდევდა ზუზუნით.

ის რომ ხმას გამოსცემდა, ამას ზუზუნს ადამიანები დაარქმევდნენ, თორემ ჭიამაიასთვის ეს ღიღინი იყო.

ღიღინებდა:

მე უბრალო ჭიამაია ვარ,
მიხარია სიცოცხლე,
ვაკვირდები ადამიანებს
და ძალიან ვერთობი.
ძალიან ვერთობი, ჰეი!

იარა იმ გამვლელმა და ქალაქის განაპირას ერთ ძველ სახლში შევიდა. გაიხადა პიჯაკი და კედელში ჩარჭმულ ლურსმანზე დაჰკიდა.

მერე ამოიღო ყუთიდან ბოთლი, ამოაძრო საცობი და რაღაცა სითხე დიდ ჭიქაში გადმოღვარა, მერე ის ჭიქა ერთი მოყუდებით გამოცალა და მაგიდაზე თავდადებულმა ხვრინვა ამოუშვა.

ჭიამაია დაინტერესდა, ნეტავი რა დალიაო, მიფრინდა ჭიქასთან, ჩაძვრა შიგ და ფსკერზე დარჩენილი რამდენიმე წვეთი დასუნა.

მძაფრმა სუნმა თავბრუ დაახვია და ძლივს ამოფორთხდა ჭიქიდან.

ალბათ, მიხვდით, არაყი დალია იმ კაცმა.

მიიხედ-მოიხედა ჭიამაიამ და ოთახში ვერაფერი დაინახა, სადაც შეიძლებოდა მყუდროდ განმარტოებულიყო.

ლურსმანზე ჩამოკიდულმა პიჯაკმა მიიქცია მისი ყურადღება. მიფრინდა და პიჯაკის ჯიბეში ჩაძვრა.

იქ კი რაღაცა მოკლე მილი ნახა.

შეძვრა იმ მილში, მიდო თავი რაღაც ბურთის მსგავსზე და მასაც ჩაეძინა.

დიდხანს ეძინა ჭიამაიას.

მერე რწევამ გამოაღვიძა. ეტყობა იმ კაცმა ჩაიცვა თავისი პიჯაკი და სადღაც მიდიოდა.

ჭიამაია ჩაფიქრდა. მან იმდენი კი იცოდა ადამიანებზე, რომ მიმხვდარიყო: მილი, რომელშიც ის იჯდა, პისტოლეტის ლულა იყო. დიახ, პისტოლეტის ლულა. ხოლო პისტოლეტით ადამიანები ხშირად წყვეტდნენ თავის პრობლემებს. ეს იყო ყველაზე სევდისმომგვრელი რამ, რაც იცოდა ჭიამაიამ ადამიანებზე...

ჭიამაია ფიქრებიდან ადამიანის ხმამ გამოარკვია:

— სდექ, არ გაინძრე. ამოიღე ჯიბეებში რაცა გაქვს!

ჭიამაია მიხვდა, ამას პისტოლეტის პატრონი ამბობდა.

მართლაც გაიხედა იქიდან, სადაც იყო, ანუ ლულიდან და დაინახა, რომ ათიოდე მეტრში ერთი საწყალი კაცი იდგა, რომელსაც ჯიბეები გადმოებრუნებინა და ქვითრებში და რაღაც ქაღალდების ნარჩენებში იქექებოდა.

— ფული? ფული სადა გაქვს? — დასჭექა პისტოლეტის პატრონმა.

— ფული არა მაქვს, ბატონო! — ხმა აუთრთოლდა ჯიბეებგადმობრუნებულს.

— ფული არა გაქვს? მაშინ ტყვიას მიიღებ! — კვლავ დასჭექა პისტოლეტიანმა.

ჭიამაია მიხვდა, ახლა რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო და ისე დაიძაბა და დაიძაგრა, როგორც არასოდეს დაძაგრულიყო.

— რატომ, ბატონო, რა დავაშავე — წამოიკნავლა საცოდავმა კაცმა.

— ფული რომ არა გაქვს, ეგაა შენი დანაშაული! — დასჭექა პისტოლეტიანმა.

და ჩახმახს გამოჰკრა თითი.

ჭიამაიამ ისეთი გრგვინვა-გრიალი გაიგო, ძლივს შეიკავა თავი და გონება არ დაკარგა.

და იმავ წამს ტყვია და ტყვიას ექვსივე ფეხით ჩაფრენილი ჭიამაია საშინელი სისწრაფით გამოვარდნენ ლულიდან.

ჭიამაიამ აქ პირველად გამოსცადა თავი.

თურმე ტყვიის სისწრაფეზე უფრო სწრაფი რეაქცია ჰქონია: უსწრაფესად ააფართქალა ფრთები და ტყვიას ისე მიაწვა, რომ მისი მოძრაობის გზა გაემრუდებინა.

და ეს მოახერხა კიდეც: ტყვიამ სულ ახლოს ჩაუქროლა საწყალი კაცის სახეს და გაფრინდა სივრცეში.

ჭიამაიამ მოასწრო დაენახა, როგორ მოსწყდა ადგილს საწყალი კაცი და როგორ მოკურცხლა.

ბანდიტი კი გაოცებული დაჰყურებდა თავის პისტოლეტს, როგორ მოხდა, რომ ასე ახლოდან ავაცილე მიზანსო...

მიფრინავდა ტყვიაზე, როგორც რაშზე გადამჯდარი ჭიამაია...

მიფრინავდა...

თბილი საღამო იყო.

ქალაქის პარკში წყვილები დასეირნობდნენ, სკამებზე მოხუცები ისხდნენ და იქვე ბავშვები თამაშობდნენ...

ჭიამაიამ მაღლიდან გადასძახა:

— ჰეი, ადამიანებო, მეც თქვენთანა ვარო.

ადამიანებმა კი მხოლოდ ის გაიგეს, რომ რაღაცამ ძალიან სწრაფად გადაიზუზუნა.

მერე ჭიამაიას კიდევ ერთხელ მოუწია ტყვიის მიმართულების შეცვლა: ლამაზი ქალიშვილი იდგა ხიდზე და ტყვია შეიძლება მას დასჯახებოდა საყვარლად კეხიან ცხვირში.

ჭიამაიამ სულ ახლოს ჩაუქროლა ქალიშვილს და ჩაიზუზუნა:

ძალიან გავერთე, ლამაზო!
ჰეი, ჰეი და ჰეი!

მერე ტყვიას დაეკარგა ძალა და უცებ ტბაში ჩავარდა.

ტყვია ფსკერისკენ წავიდა, ჭიამაია კი წყლის ზედაპირზე ადგაფუნდა, როგორც შეეძლო.

ამ დგაფუნში ტბიდან ამოფრინდა და ტბის პირას აყვავებული ვარდის ბუჩქთან წამოგორდა ბალახზე...

და, ალბათ, ვარდის ყვავილთა სურნელებამ უბიძგა მის ფიქრებს (ისე, როგორც თვით უბიძგებდა ტყვიას) და რატომღაც ძალიან განყენებულ თემაზე დაიწყო ფიქრი. კერძოდ კი ბედნიერებაზე. ადამიანების ახლოს რომ ტრიალებდა, ხშირად ესმოდა ეს სიტყვა, მაგრამ ვერ გაეგო მისი მნიშვნელობა. ახლა ვარდის სურნელით ოდნავ გაბრუებულს გაახსენდა, თუ როგორ ლაღად მოკურცხლა მის მიერ გადარჩენილმა კაცმა და იფიქრა, ის კაცი, ალბათ, ბედნიერი იყო მაშინო.

და უცებ ჭიამაიას მთელი არსება აავსო რაღაც ძალიან სასიამოვნო შეგრძნებამ. ამაზე დაიწყო ფიქრი: ეს რა არისო.

ვიდრე ჭიამაია მიხვდება, თუ რა შეგრძნება დაეუფლა, მე გეტყვით:

ბედნიერი იყო!

**გურამ პეტრიაშვილი.**

**P. S. და ამ ბედნიერებით უკიდეგანოდ გაბრუებული ჭიამაია გვილოცავს ქართველებსა და სრულიად საქართველოს დამდეგ შობა-ახალ წელს. დაე, მისი მეშვეობით საქართველოს მიმართულებით ნასროლ ყველა ტყვიას გეზი ეცვალოს და აგვცდენოდეს!**

**გ. პ.**

## ინფორმაცია

## სავალალო სტატისტიკა




„რეპორტიორები საზღვრის გარეშე“ 2015 წლის კვლევის შედეგებს აქვეყნებს, რომლის თანახმად, შარშან პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 67 ჟურნალისტი დაიღუპა, კიდევ 43 ჟურნალისტის მკვლელობის მოტივი დღემდე უცნობია. გარდა ამისა, წელს დაიღუპა სამოქალაქო ჟურნალისტიკის 27 წარმომადგენელი და მედიასაშუალებების 7 თანამშრომელი.

დაღუპულთა 40% ტერორისტული დაჯგუფებების „ალ-ქაიდასა“ და ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა მოკლეს. ყველაზე საშიში ქვეყანა ჟურნალისტებისთვის კვლავ სირია რჩება. მეორე ადგილზე ერაყია. სიაში მოხვდნენ იემენი, სამხრეთ სუდანი, ინდოეთი, მექსიკა და ფილიპინები.

ჟურნალისტებისთვის საშიში ქვეყნების სიაში პირველად საფრანგეთიც მოხვდა, რაც უკავშირდება სატირული ჟურნალის Charlie Hebdo-ს რედაქციაზე თავდასხმას.

ორგანიზაციის ცნობით, 2005 წლიდან მსოფლიოს მასშტაბით 787 ჟურნალისტი დაიღუპა. 54 ჟურნალისტი ტყვეობაში ამ დრომდე რჩება, კიდევ 153 ციხეში იმყოფება.

## უფრთხილდით ქუჩაში შეძენილ პროდუქტებს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, სამომხმარებლო ბაზარზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელების პარალელურად, წინასაახალწლო დღეებში მოსახლეობას მოუწოდებს, თავი შეიკავოს საეჭვო ადგილებში გაურკვეველი წარმომავლობის მალფუჭებადი სურსათის შეძენისაგან და რეკომენდაციებით მიმართავს:

ნუ შეიძენთ მაღალი რისკის სურსათს (ხორცი და ხორცპროდუქტები, თევზი და თევზპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი, ბავშვთა საკვები) ქუჩაში, არასათანადო შენახვისა და რეალიზაციის პირობებში.

სურსათის შეძენისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მის ვარგისიანობას — დააკვირდით, რამდენად ახალია ის; ეტიკეტზე ყურადღება მიაქციეთ ვარგისიანობის ვადას და შენახვის პირობებს; დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუკავშირდით სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელ ხაზს: 2 91 91 68.

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით კონკურსში „მეცნიერების ისტორიის დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის“ გამარჯვებულად გამოცხადდნენ და ფულადი ჯილდოები მიენიჭათ:**

| | | |
|---|---|---|
| 1. ავტორთა ჯგუფს: კ. ნადარეიშვილს (გარდაცვალების შემდეგ), დ. ნადარეიშვილს | ნაშრომისათვის „ივანე თარხან-მოურავი (პირველი მკვლევარი რადიობიოლოგიასა და რადიაციულ ეკოლოგიაში)“ | – 1200 ლარი |
| 2. ავტორთა ჯგუფს: რ. შენგელიას, გ. ალიბეგაშვილს, გ. კვესიტაძეს | ნაშრომისათვის „ქართული მეცნიერების ფესვები“ | – 800 ლარი |
| 3. ავტორთა ჯგუფს: გ. ცინცაძეს, ნ. მგელაძეს, რ. ჩაგუნავას, რ. მოლოდინი | ნაშრომებისათვის „შალვა ცინცაძის მეცნიერული მემკვიდრეობა“; „შალვა ცინცაძე - გამოჩენილი ქართველი მეცნიერი“ | – 800 ლარი |
| 4. დ. ღარიბაშვილს | ნაშრომისათვის „კოსმოსური სხივების ფიზიკა“ | – 600 ლარი |
| 5. დ. ჯიშიაშვილს | ნაშრომისათვის „ნანოტექნოლოგიების შესავალი“ | – 600 ლარი |

ლეგიონერი

# ფაჩულიამ „მილუოკი" გაშიფრა



**ზაზა ფაჩულიას „დალას მავერიქსმა" გუშინ ქართველი ცენტრის ყოფილ კლუბ „მილუოკი ბაქსს" 103:93 სძლია, რაშიც საქართველოს ნაკრების კაპიტანმა დიდი წვლილი შეიტანა.**

ფაჩულიას, რომელიც ტეხასურ კლუბში ივლისში გადაბარგდა, პირველ ტაიმში უკვე 13 ქულა ჰქონდა, საბოლოოდ კი თამაში 17 ქულით, 8 მოხსნით, 2 პასით და 2 ჩაჭრით დაასრულა, თანაც ბურთი ერთხელაც არ დაუკარგავს.

ის, რომ „დალასმა" განსაკუთრებულად აკურატულად ითამაშა, შეუმჩნეველი არც ESPN-ს დარჩენია. „მავერიქსმა" მატჩის განმავლობაში მხოლოდ 4 შეცდომა დაუშვა, როდესაც მილუოკელებს 17 დაკარგვა მოუგროვდათ.

„მიმდინარე სეზონში „ბაქსი" მეტოქეთა შეცდომების შემდეგ საშუალოდ 19.3 ქულას აგროვებდა და ეს მთელს ლიგაში მე-3 მაჩვენებელი გახლდათ, დალასში კი მათ ხელ-ფეხი შებოჭილი ჰქონდათ. „მავერიქსი" ბურთს ძალიან უფრთხილდებოდა, რაშიც მათ ზაზა ფაჩულიას ცოდნაც ეხმარებოდა. მან ხომ გასული 2 სეზონი სწორედ „ბაქსში" გაატარა და ყოფილ თანაგუნდელთა ხრიკების გაშიფვრა არ გასჭირვებია".

იქვე ESPN-ს ქართველი ცენტრის კომენტარიც მოჰყავს. „მათი დაცვის გაწელვა იოლი საქმე არაა, თუმცა, შესაძლებელია. როდესაც ბურთს კარგად ვათამაშებდით, ხარისხიანი სროლების განხორციელების საშუალება გვეძლეოდა. ამან სასურველი შედეგი მოგვიტანა".

ცნობისთვის, ფაჩულიამ 17 ქულა ზედიზედ მეორედ ჩააგდო, მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 31 მატჩში მისი საშუალო მონაგარი კი 10.5 ქულა, 10.4 მოხსნა, 1.8 პასი, 0.9 ჩაჭრა და 0.4 დაფარებაა.

ზედიზედ მოპოვებული 3 გამარჯვების წყალობით „დალას მავერიქსმა" 18 მოგება და 13 მარცხი მოაგროვა და დასავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილზე იმყოფება.

ხვალ დილით ზაზას გუნდს პრინციპული დაპირისპირება ელის. დალასურ „ემერიქან ეარლაინზ არენას" ნბა-ს მოქმედი ჩემპიონი და მიმდინარე რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდი „გოლდენ სტეიტ უორიორზი" ესტუმრება, რომელსაც 30-დან 29 თამაში აქვს მოგებული.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# განახლებული რეიტინგებით



**ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით ქართველმა ჩოგბურთელებმა უცხოეთის კორტებზე გამოსვლა დაასრულეს. მათი საბოლოო მონაგარი საერთაშორისო ასოციაციების განახლებულ რეიტინგებში ასეთია:**

**ქალები**

**ერთეულები.** 222 (221). სოფიო შაფათავა (229), 371 (371). ეკატერინე გორგოძე (99), 380 (379). სოფიო ქვაცაბაია (96), 471 (468). მარიამ ბოლქვაძე (63), 657 (656). ოქსანა კალაშნიკოვა (30), 776 (772). თინათინ ყავლაშვილი (30), 1104 (1198). თამარ ჭალაგანიძე (7), 1211 (1207). ანა შანიძე (4).

**წყვილები.** 70 (70). კალაშნიკოვა (1080), 138 (137). შაფათავა 9492), 289 (188). გორგოძე (349), 359 (358). ქვაცაბაია (141), 677 (675). ბოლქვაძე (45), 779 (778). ყავლაშვილი (30), 1112 (1111). ანა ახალკაცი (11), 1112 (1111). შანიძე (11), 1186 (1184). ჭალაგანიძე (9).

**ვაჟები**

**ერთეულები.** 113 (108). ნიკოლოზ ბასილაშვილი (525), 313 (314). ალექსანდრე მეტრეველი (158), 889 (890). გიორგი ცივაძე (19), 1104 (1102). გიორგი ჯავახიშვილი (10), 1444 (1445). ალექსანდრე ბაქში (3), 2085 (2087). ირაკლი მეტრეველი (1).

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ნიკოლოზ ბასილაშვილი.**

ბაკურიანი

# ამოქმედდა ახალი საბაგირო

**რვაწლიანი შესვენების შემდეგ ბაკურიანში კოხტას სრულიად ახალი ტიპის საბაგირო ამოქმედდა. სახელმწიფომ ძირითადი საბაზისო ინფრასტრუქტურა დააფინანსა, მოაწესრიგა საბაგირო და მისასვლელი გზა, ხოლო კომპანია „ჯიარდისმა" თანამედროვე ალპური სტანდარტებით დაგეგმილ, ფაქტობრივად, ახალი დასახლების მშენებლობაში კერძო ინვესტიცია განახორციელა. ამჟამად კოხტას ტრასის საერთო სიგრძე 3 კმ და 100 მეტრია. პერსპექტივაში საბაგირო გაგრძელდება მიტარბის მხარეს და იქაურობაც განვითარდება.**



„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა. კოხტასთან არის დაკავშირებული ჩვენი ბავშვობის ყველაზე ტკბილი მოგონებები. დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობა აღნიშნულ სათხილამურო ტრასებზე გაიზრდება და ჯანმრთელობას გაიკაჟებს," — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა.

სამომავლოდ ორივე საბაგიროს ძირში აშენდება თანამედროვე სასტუმროები, სავაჭრო და გასართობი ცენტრები, ხოლო ბაკურიანს დამატებითი ინფრასტრუქტურა დაამშვენებს სპორტის სხვა სახეობებისთვის. მაგალითად, 2016 წელს იგეგმება ბიატლონის ტრასის განვითარება, აშენდება ყინულის დახურული მოედანი ჰოკეისა და კერლინგისთვის. გაისადვე დამონტაჟდება სამთო ციგა „ტობოგანი", რომელიც ზამთარ-ზაფხულ კარგი გასართობი საშუალება იქნება.

**გივი გაგუა**

**სურათზე: განახლებული კოხტა.**

ციგაობა

# ბაკურიანელს - ლილეჰამერის ლიცენზია

**2016 წლის 10-14 თებერვალს ლილეჰამერში ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. ამ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება მოიპოვა ბაკურიანის საჯარო სკოლის მეათეკლასელმა ლაშა ფერაძემ.** საამისოდ მან წარმატებით იასპარეზა მსოფლიოს თასის გათამაშების ოთხივე ეტაპზე ნორვეგიის, ლატვიის, გერმანიისა და ავსტრიის საციგაო ტრასებზე, დაიკავა მეათე ადგილი და სათანადო სალიცენზიო ქულები მოაგროვა. ლაშა ამჟამად ბაკურიანშია, 2016 წლის 10 იანვრიდან კი ინტენსიურ ვარჯიშს უცხოეთის ტრასებზე განაგრძობს. როგორც მისმა მწვრთნელმა ფელიქს ქუმარიტაშვილმა თქვა, ქართველ მოციგავეს ლილეჰამერში საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის რეალური შანსი აქვს.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ლაშა ფერაძე.**



ეს საინტერესოა

# მეტყველი სტატისტიკა

**როგორც მოგეხსენებათ, გაისად საფრანგეთი ევროპის XV საფეხბურთო ჩემპიონატს უმასპინძლებს.**

**მოახლოებული ფორუმის წინ, ბუნებრივია, გულშემატკივრებს განვლილი ბატალიების სტატისტიკური მონაცემებისთვის თვალის კიდევ ერთხელ გადავლების სურვილი უჩნდებათ, მით უმეტეს მიმავალი სეზონის ფინიშზე, როცა კონტინენტის სტადიონებზე სათამაშო დუღილის ტემპერატურა მკვეთრადაა დაკლებული.**



მაშ ასე, ვითვალისწინებთ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის მრავალრიცხოვან ქომაგთა ცნობისმოყვარეობას და გთავაზობთ არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატების გამარჯვებულთა და პრიზიორთა ნუსხას, რომელიც ფეხბურთის სტაჟიანმა მოყვარულმა თემურ დოლიძემ მოგვაწოდა.

| | მ. ჩ | I | II | III | III-IV | IV |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | 5 | 2 | 2 | | 2 |
| 2 | გერმანია | 4 | 4 | 4 | | 1 |
| 3 | იტალია | 4 | 2 | 1 | | 1 |
| 4 | არგენტინა | 2 | 3 | – | | – |
| 5 | ურუგვაი | 2 | – | – | | 3 |
| 6 | საფრანგეთი | 1 | 1 | 2 | | 1 |
| 7 | ესპანეთი | 1 | – | – | | 1 |
| 8 | ინგლისი | 1 | – | – | | 1 |
| 9 | ჰოლანდია | – | 3 | 1 | | 1 |
| 10 | ჩეხოსლოვაკია | – | 2 | – | | – |
| 11 | შვედეთი | – | 1 | 2 | | 1 |
| 12 | უნგრეთი | – | 2 | – | | – |
| 13 | პოლონეთი | – | – | 2 | | – |
| 14 | პორტუგალია | – | – | 1 | | 1 |
| 15 | ავსტრია | – | – | 1 | | 1 |
| 16 | იუგოსლავია | – | – | – | 1 | 1 |
| 17 | ხორვატეთი | – | – | 1 | | – |
| 18 | თურქეთი | – | – | 1 | | – |
| 19 | ჩილე | – | – | 1 | | – |
| 20 | აშშ | – | – | – | | – |
| 21 | ბელგია | – | – | – | | 1 |
| 22 | ბულგარეთი | – | – | – | | 1 |
| 23 | სამ. კორეა | – | – | – | | 1 |
| 24 | ს.ს.რ.კ | – | – | – | | 1 |



| | ე. ჩ. | I | II | III | III-IV | IV |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | 3 | 3 | – | 2 | – |
| 2 | ესპანეთი | 3 | 1 | – | – | – |
| 3 | საფრანგეთი | 2 | – | – | 1 | 1 |
| 4 | სსრკ | 1 | 3 | – | – | 1 |
| 5 | იტალია | 1 | 2 | – | 1 | 1 |
| 6 | ჩეხოსლოვაკია | 1 | – | 2 | – | – |
| 7 | ჰოლანდია | 1 | – | 1 | 3 | – |
| 8 | დანია | 1 | – | – | 1 | 1 |
| 9 | საბერძნეთი | 1 | – | – | – | – |
| 10 | იუგოსლავია | – | 2 | – | – | 1 |
| 11 | პორტუგალია | – | 1 | – | 3 | – |
| 12 | ბელგია | – | 1 | 1 | – | – |
| 13 | ჩეხეთი | – | 1 | – | 1 | – |
| 14 | ინგლისი | – | – | 1 | 1 | – |
| 15 | უნგრეთი | – | – | 1 | – | 1 |
| 16 | შვედეთი | – | – | – | 1 | – |
| 17 | რუსეთი | – | – | – | 1 | – |
| 18 | თურქეთი | – | – | – | 1 | – |





ინტერნეტიდან

# ლარისა რიკელმე - „საიდუმლო სანტა"

**ასეთია ცხოვრება — იცვლებიან მთავრობები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები, ეპოქები და სახელწოდებები. არ იცვლება მხოლოდ პარაგვაის ნაკრების თილისმა, თამამი და მომხიბვლელი, აშარი და უცნაური ლარისა რიკელმე, რომელიც მუდმივად იმის ცდაშია, რაიმე ახალი სკანდალებით გააოცოს საზოგადოება.**



ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით ლარისამ განაცხადა, რომ იგი აპირებს სრულიად უცნობი ადამიანების „საიდუმლო სანტა" გახდეს და თუკი სანტა კლაუსებს ბავშვებთან კანფეტები და საჩუქრები მიაქვთ, ლარისა ახურუშებულ მამრებს საკუთარ მკერდს დაულაგებს წინ ბებიის მორთმეული ლეღვის ჩირივით.

ლარისა რიკელმე ჯერჯერობით საიდუმლოდ ტოვებს იმას, თუ რა პრინციპით შეარჩევს იმ ბედნიერთ, რომლებსაც იგი ახალ წელს ასეთი ორიგინალური ფორმით მიულოცავს, მაგრამ აქედანვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მის მონახაზში ჩვენი ქვეყანა არ იქნება. ჩვენ მომლოცველებად დიდი ჯონდი ბაღათურია და თამაზ მეჭიაურიც გვეყოფა!

**როსტომ რაჭველიშვილი**

ეპიტაფია

# გოგი ბატიაშვილი



არიან ადამიანები, რომელთა წასვლა ღრმა, მოუშუშებელ იარას და სიცარიელეს ტოვებენ ახლობლებსა და მეგობრებში. მართლაც დაუჯერებელი და ტრაგედიის ტოლფასი იყო შენი მოულოდნელი წასვლა ამ ქვეყნიდან.

ორმოცი დღე შესრულდა შენი გარდაცვალებიდან. არადა, რა ბედნიერი დღე გვქონდა შენს ახლობლებს, როდესაც გარდაცვალებამდე სულ რაღაც 10 დღით ადრე აღვნიშნეთ მზექალასა და შენი ოქროს ქორწილი.

მართლაც სამაგალითო იყო შენი და მზექალას ნახევარსაუკუნოვანი მეუღლეობა.

დღესაც თვალწინ მიდგას 53 წლის წინათ ჩვენი შეხვედრა სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე. იქიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე განუყრელი მეგობრები ვიყავით. რამდენი სიხარული და მწუხარება გადაგვიტანია ერთად.

შენ იყავი ყოველმხრივ ღირსეული პიროვნება. მთელ საქართველოში ცნობილი და პატივსაცემი (ჩემთვის უსაყვარლესი) მშობლების ღირსეული შვილი, ლამაზი ოჯახის თავკაცი, უერთგულესი მეუღლე, საამაყო შვილების აღმზრდელი, სანათესაოზე ზრუნვას გადაყოლილი პიროვნება, პროფესიონალი ექიმი და სტუდენტებზე შეყვარებული პედაგოგი.

შესაშური ძმობა გქონდათ შენ და თამაზს. ის შენთვის ძმაც იყო, მეგობარიც და ცხოვრებისეული მასწავლებელიც. მას ვბაძავდი მეც, შენც და შენი სხვა მეგობრებიც.

უამრავი მეგობარი გყავდა, ყველას გვერდით ედექი ჭირსა თუ ლხინში. კარდიოლოგიის ინსტიტუტში შენ მეგობრობდი და მეც მეგობრად გამიხადე მრავალი ჩვენი კოლეგა, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე შენთან იყვნენ. შენ იყავი ყველა მეგობრის თუ ნათესავის მიმართ თანადგომითა და განსაკუთრებული სიყვარულით გამორჩეული ადამიანი, სიკეთით სავსე და სიყვარულით მთვრალი პიროვნება. შენი ცხოვრება ბევრისთვის იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა გვეცხოვრა, გვემეგობრა, გვყვარებოდა და სხვებსაც ჰყვარებოდი.

ამიტომაც იყო, რომ მიუხედავად ჩვენი ასაკისა, ათასობით ადამიანი თვალცრემლიანი გეთხოვებოდა უდიდესი მწუხარებით.

საბედნიეროდ, შენი უკეთილშობილესი გენი გრძელდება შენს საამაყო შვილიშვილებში, რომლებიც სიცოცხლეში გახარებდნენ და იქაც, საიქიოში, გაგახარებენ თავიანთი წარმატებებით მომავალში.

გემშვიდობები უდიდესი გულისტკივილით.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

**ნოდარ ემუხვარი**

---



მეუღლე ლუიზა ლაზარაშვილი, შვილები მალხაზ, დავით ფუტკარაძეები, რძლები ლალი ჭანჭალეიშვილი, ნინო ბუტიკაშვილი, სიძეები ლევან ქუთათელაძე, ირაკლი მესხი, შვილიშვილები თამარ, ქეთევან, მარიამ, იაკობ, გიორგი, დავით, ლუკა ფუტკარაძეები, შვილთაშვილები საბა ქუთათელაძე, დემეტრე მესხი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იაკობ ვალერიანის ძე ფუტკარაძე**

პანაშვიდი 29, 30 XII, 17 სთ. გამოსვენება 31 XII, 14 სთ. მისამართი: სან-ზონა, კორპ. 18ბ, II სადარბაზო, III სართული, ბინა 33.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივანს ლუიზა ფუტკარაძეს გარდაეცვალა მეუღლე, ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი

**იაკობ (იაშა) ფუტკარაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 29, 30 XII, 17 სთ. გამოსვენება 31 XII, 14 სთ. მისამართი: სანზონა, მე-18ბ კორპ., II სად., მე-3 სართ.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**იაკობ ფუტკარაძე**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პარლამენტის ყოფილი წევრი

**ბეჟან ხურციძე**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ნანა, ავთანდილ წერეთლები მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**ბეჟან ხურციძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯიმი ბროძელი ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება რჩეულთა შორის რჩეული მეგობრის

**ბეჟან ხურციძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---



მეუღლე მარინა ხუფენია, შვილი ნატა, შვილიშვილი მარიამი, დები ციცინო, დარეჯან აფციაურები, სიძე გივი ნადაშვილი, დეიდაშვილები ანზორ მაისურაძე, მზია ტყეშელაშვილი, თამარ ტყეშელაშვილი, მზია ვაწაძე, ბიძაშვილები ნათელა, ერნა, ნანული, ნანა, ნარგიზი, დიმიტრი, ფარნაოზ, დავით მოწონელიძეები ოჯახებით იუწყებიან

**გივი ნიკოლოზის ძე აფციაურის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 XII, 17 სთ. დაკრძალვა 31 XII, ვაკის სასაფლაოზე. მისამართი: მიცკევიჩის 29ა.

---

სულთათანა

# მეცნიერი, რომელიც მუდამ გვემახსოვრება

## პროფესორ ჭიჭიკო ადეიშვილის მოსაგონარი

2015 წლის 6 დეკემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 79 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის პროფესორი **ჭიჭიკო ადეიშვილი**, რომელიც ერთგულად ემსახურა სტუდენტი-ახალგაზრდობისთვის ეკონომიკური მეცნიერების ღრმა და საფუძვლიანი სწავლების საპატიო მოვალეობას.

დაიბადა 1936 წლის 23 სექტემბერს ვანის რაიონის სოფელ დუცხუნში. 1955 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1955-1958 წლებში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური პენზისა და სტალინგრადის ოლქებში. 1958 წლის აგვისტოში, მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობაზე, რომელიც 1963 წელს დაამთავრა და სხვადასხვა დროს მუშაობდა როგორც პრაქტიკოს-ბუღალტრად, ასევე მეცნიერ-მუშაკად, რის შედეგადაც მან დიდი პრაქტიკული და მეცნიერული გამოცდილება მიიღო. 1967 წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში „ბუღალტრული აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის“ სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1970 წელს. იმავე წელს აირჩიეს კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე.

1974 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „საწარმოო ფონდების აღრიცხვისა და მათი გამოყენების ანალიზის გაუმჯობესების გზები“. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეს პირველი დისერტაცია იყო, რომელშიც გამოკვლეული იყო აღრიცხვისა და ანალიზის სრულყოფის საკითხები საქართველოს საკონდიტრო მრეწველობის მაგალითზე. დისერტაციის დაცვის დროს, ერთ-ერთ ცნობილ პროფესორს თავის გამოსვლაში უთქვამს: „რომ შეიძლებოდეს, ადამიანობაში დოქტორის ხარისხსაც მოგანიჭებდითო“.

1977-2005 წლებში მუშაობდა აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. 2005 წლიდან მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნერო ხარისხი და მუშაობდა ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.

1969-2012 წლებში ბატონმა ჭ. ადეიშვილმა ეკონომიკის დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობა გასწია. მას გამოქვეყნებული აქვს 115 სამეცნიერო, სასწავლო და მეთოდური ხასიათის ნაშრომი წიგნების, მონოგრაფიების, კრებულების, საჟურნალო და საენციკლოპედიო სტატიების სახით. მისი სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა მრავალფეროვანია, რომელიც ეძღვნება ეროვნული მეურნეობის დარგებში აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის გაუმჯობესება-სრულყოფის საკითხებს. მისმა შრომებმა სხვადასხვა დროს მაღალი მეცნიერული შეფასება დაიმსახურა. მისი კვლევის შედეგებით სარგებლობდნენ პრაქტიკოსები და მეცნიერები. მან საქართველოში პირველმა დაწერა სასწავლო-სამეცნიერო სალექციო კურსები რკინიგზის ტრანსპორტის და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების ბუღალტრულ აღრიცხვაში. 1989 წელს თბილისის საქალაქო სახალხო დეპუტატების საბჭომ იგი „შრომის ვეტერანის“ მედლით დააჯილდოვა.



პროფესორი ჭიჭიკო ადეიშვილი თითქმის ნახევარი საუკუნე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ცოდნის უპირველეს ტაძარში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკუტეტზე. იგი მაღალკვალიფიციურ დონეზე ატარებდა ლექციებს და პრქტიკულ (სემინარულ) მეცადინეობებს ეკონომიკური პროფილის სხვადასხვა სპეციალობის ჯგუფებთან, ბოლო წლებში კი მაგისტრანტებთან. მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ცდილობდა პირადი მაგალითით ეჩვენებინა, თუ რას გულისხმობს პროფესიისა და სამშობლოსადმი პატივისცემა. იგი ასწავლიდა ახალგაზრდობას, რომ მაღალი პროფესიონალიზის გარეშე შეუძლებელია სიკეთით ემსახურო საზოგადოებას და ქვეყანას. განსაკუთრებულად ზრუნავდა სტუდენტებზე, რასაც მოწმობს მათ მიერ გამოთქმული ზეპირი და წერილობითი მადლობები, მილოცვები და მოგონებები. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი კობა სოხაძე ერთ-ერთ წიგნში აღნიშნავს: „ჩემთვის დაუვიწყარია საბუღალტრო აღრიცხვაში ჩემი ლექტორი ბატონი ჭიჭიკო ადეიშვილი. ის იყო და არის, არა მარტო კარგი ლექტორი, არამედ საუკეთესო პედაგოგი, რომელიც ყველა სტუდენტში ხედავდა პიროვნებას და ჩვენში აფასებდა ადამიანურ თვისებებს. ის ცოდნასთან ერთად, სტუდენტში სიკეთის მარცვალსაც თესდა. ის აღჭურვილი იყო თვისებებით, რაც სამწუხაროდ, ხშირად აკლიათ ახლანდელ ლექტორებს და რის გამოც საზოგადოებაში სიკეთის დეფიციტი იგრძნობა“.

2003 წლის 15 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ჭიჭიკო ადეიშვილი მრავლაწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვწეობისათვის, მომავალი კადრების აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის „ღირსების ორდენით“ დაჯილდოვდა.

პროფესორი ჭიჭიკო ადეიშვილი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, უნივერსიტეტში მოღვაწეობის პარალელურად შეთავსებით მუშაობდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ეკონომიკური პროფილის რამდენიმე კომერციულ ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა ბუღალტრული აღრცხვის, სტატისტიკისა და ფინანსების კათედრებს. იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთნ არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს წევრი. 1996-1998 წლებში იყო საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორიული საბჭოს საკვალიფიკაციო სერთიფიკატის გაცემის საგამოცდო კომისიის წევრი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად პროფესორი ჭიჭიკო ადეიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1989 წლის 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შემდეგ, პროტესტის ნიშნად დატოვა კომუნისტური პარტიის რიგები. იყო თსუ სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის პირველი მოადგილე დღის სწავლების დარგში. დაუზარელად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, საკათედრო და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ მუშობაში. გამოირჩეოდა თავმდაბლობით, გულისხმიერებით, პატიოსნებითა და მაღალი ადამიანური თვისებებით. იყო პრინციპული და სამართლიანი.

ბატონი ჭიჭიკო ადეიშვილი იყო უღალატო და ერთგული კოლეგა, მეგობარი და პედაგოგი. მისი აღზრდილი სტუდენტი-ახალგაზრდობა, მისი მეგობარი პროფესორ-მასწავლებლები და უახლოესი ადმიანები აღნიშნავენ, რომ მსგავსი უმწიკვლო მოღვაწე, კრისტალური პატიოსნებისა და პრინციპული ხასიათის პედაგოგები იშვიათ მოვლენას წარმოადგენენ ჩვენს სინამდვილეში. აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის წევრებს, სადაც ის თითქმის ორმოცდაათი წელი მოღვაწეობდა და ყველას, ვინც მას იცნობდა, არასოდეს დაავიწყდება მისი ღრმა ინტელექტი, საქმისადმი ერთგულება, მეგობრობა და მუდამ აქტიური, გონივრული და მეგობრული პაექრობები პროფესიულ თუ საზოგადებრივ საკითხებზე. მართლაც, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, „ადამიანობაშიც დოქტორის ხარისხი ეკუთვნოდა“.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა.**

# სიყვარული და ახალი წელი



შენ — არა! შენს ბალღურ ღიმილს და საუბარს,
შენს წარბებს, ღმერთს რომ ორ სტრიქონად გაუბამს,
შენს, ჩემგან უკოცნელ ტუჩებს და მაღალ ყელს,
რაც დღემდე მიზიდავს და ზღვისებრ მაყალყებს...
შენ — არა! შენს თმებს და ყურებს და ყვრიმალებს,
შენს თვალებს, წყენა რომ ცრემლივით მიმალეს,
შენს ციცქნა ცხვირსახოცს, რომ გითბობს ნესტოებს,
შენს სუნთქვას, რომელიც ჰაერში მზეს ტოვებს
და თვალს რომ მარიდებ, იმ ლამაზ შეცდომას...
და კაფეს, ქცეულს ჩვენს ერთადერთ რესტორნად...
იმ წელმა რა მოგვცა! რას მოგვცემს ეს წელი!
შენ ჩემი გაგება ვერაფრით შესძელი...
და თუ კვლავ აივლი თამაშის ტერასებს
ისე, რომ, თითქოსდა, არც გაინტერესებ,
და თუ ყურს დაუგდებ მავანთა მიქარვას,
და თუ არ დავრწმუნდი, რომ მე შენ გიყვარვარ,
რომ ჩემთან აპირებ ცხოვრების გალევას,
მაშინ ამ სიყვარულს მოვავლებ გალავანს...
და როცა მოვურჩენ ნახმლევს და ნაშუბევს —
გადავცემ არქივს ან — მუზეუმს ვაჩუქებ...
ამიტომ შენ — არა! შენს მუხლებს, იდაყვებს,
შენს კდემას, ხსოვნაში სევდას რომ მითაღებს...
შენს მზერას, რომლისებრ კვესიც კი ვერ კვესავს,
შენს შუბლსაც, კეფასაც, წვივებსაც, ტერფებსაც
და, ჩემგან უხილავ, შენს „ოქრო-ბრილიანტს“,
რაც მოლზე ნაზი და სითბოზე თბილია...
შენ — არა! შენს დაბალ ხმასა და მაღალ წელს,
გრძელ ფეხებს, წვრილ თითებს — ვულოცავ ახალ წელს!

**ბათუ დანელია**

**რეკლამა** მაჩაბლის ქ. №7.
**2 93-37-87.**

## ინფორმაცია

### ახალ წელს თოვლით შევხვდებით

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 30 დეკემბრიდან საქართველოში შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთიდან გავრცელდება ცივი და ნოტიო ჰაერის მასები.

მოსალოდნელია ნალექი, 31 დეკემბერს და 1 იანვარს უმეტესად თოვლის სახით, ზოგან ძლიერი. გაძლიერდება ქარი. 30 დეკემბერს ზღვაზე შესაძლებელია 3-5-ბალიანი შტორმი.

მთიან და მაღალმთიან რაიონებში მოსალოდნელია ძლიერი თოვა, ქარბუქი და თოვლის ზვავები, რამაც შესაძლოა ფასანაური-კობის, სტეფანწმინდა-ლარსის და სხვა საავტომობილო გზებზე ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვები გამოიწვიოს.

## განსჯა გონივრული

### ამომრჩევლისა და არა-ამო მრჩევლისგან

მის მაღალაღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს ბატონ გიორგი მარგველაშვილს

ზოგ-ზოგების ლიქნითა და ხიცინით,
სამართალთან კმარა კუდის ქიცინი.
ანეკდოტურ კენჭისყრისთვის — სიცილით
გავისტუმროთ საბჭო იუსტიციის!
წალმართისკენ მხოლოდ ასე წარვმართავთ,
მავანთაგან გამრუდებულ სამართალს!

**ალექსანდრე შენგელია,**
ერთ-ერთი უხნესი ამომრჩეველი

## ჩვენი კარაბადინი

# ჯანსაღი ცხოვრების მცირე გაკვეთილი

**სამწუხაროდ, უძილობა ხშირად ჭარბი წონის ან პარკინსონის ან ალცჰაიმერის დაავადების მიზეზი ხდება. ორგანიზმი 6-8 საათ ძილს საჭიროებს, მაგრამ თანამედროვე დაძაბული ცხოვრების გამო ხშირად ამ დროის ნახევარი თუ გვძინავს. მეცნიერებმა დიდი ხნის წინათ დაიწყეს ამ საკითხის შესწავლა და დიდ შედეგსაც მიაღწიეს. მაშ, როგორ უნდა გვეძინოს ისე, რომ უძილობით გამოწვეული დაავადების რისკი მინიმუმამდე დავიყვანოთ?**

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა მდგომარეობაში გვძინავს, თურმე ამ დროს პოზა მოქმედებს როგორც ხერხემალზე, ასევე ტვინზე მთლიანად.ორგანიზმს წმენდს ლიმფოტური სისტემა, ტვინს კი — გლიმფოტური სისტემა. ექიმებმა როჩესტერის უნივერსიტეტიდან აღმოაჩინეს, რომ გლია ნერვულ სისტემას თავისი ფუნქციის შესრულებაში დღისით ეხმარება, ღამე კი მას დაგროვილი ტოქსინებისგან წმენდს. მისი სრულფასოვანი მუშაობისთვის გვერდულად უნდა გვეძინოს, რადგან ამ შემთხვევაში ტოქსინები ტვინში აღარ გროვდება.

ცხადია, ძილში სხეულის მდგომარეობის გაკონტროლება შეუძლებელია, ამიტომაც, სასურველი შედაგის მისაღწევად ასე უნდა მოიქცეთ: პერანგს ბეჭებს შორის მიაკერეთ ჯიბე და შიგნით პატარა ბურთი ჩადეთ, რომელიც ზურგზე წოლას შეგიშლით და ძილი, ძალაუნებურად, გვერდულად მოგინდებათ.

ჭარბი წონის ე.წ. უკუქმედებების აპოეს ძილის სინდრომს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ძილის დროს რამდენიმე წამით სუნთქვის შეჩერება იწვევს ყლაპვითი კუნთების დასუსტება, იგი ამაღლებს ჰიპერტონიის, გულის რითმის დაზიანების და ინსულტის რისკს, ზოგ შემთხვევაში ძილში სიკვდილის მიზეზიც კი ხდება. ამ დაავადების განკურნება სპეციალისტების ჩარევის გარეშე შეუძლებელია.

ძილის დროს სხეულის სამი სასურველი მდგომარეობა:

გვერდზე ძილი, როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზმისთვის ყველაზე სასარგებლოა. ამ დროს ტვინი ტოქსინებისგან იწმინდება, სხეულის ეს მდგომარეობა ყველაზე ოპტიმალურია ხერხემლისთვის და სუნთქვისთვის. გახსოვდეთ: ბალიში ისე უნდა იდოს, რომ თავიც და კისერიც ჰორიზონ-



ტულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. ხერხემლისთვის კი სასარგებლოა პატარა ბალიშის მუხლებს შორის დადება.

რაც შეეხება ზურგზე ძილს, ეს პოზა არც მაინცდამაინც სასარგებლოა : ხელს უშლის ტვინის ტოქსინებისგან გაწმენდას, ართულებს სუნთქვას, არ არის სასარგებლო ხერხემლისთვის. მაგრამ შესაძლებელია მისი ერთგვარად გაუმჯობესება — ბეჭები ტანის ზედა ნაწილზე 30 გრადუსით მაღლა უნდა იყოს, რაც სუნთქვისთვის სასარგებლოა და ხვრინვასაც ამცირებს.

მუცელზე ძილი კი ორგანიზმის მტერია, მაგრამ, თუ კი ძილი არ შეგიძლიათ სხვა მდგომარეობაში, მაშინ თავს ბალიშზე ნუ დადებთ, დატვირთვას კისერზე შეამცირებს.

**მოამზადა**
**სოფიკო ჭილაურმა**

## ცინცხალი ანეკდოტები

**აბრამმა** თქვა: „რწმენა ყველაფერია!“
მოსემ თქვა: „თავისუფლება ყველაფერია!“
ქრისტემ თქვა: „სიყვარული ყველაფერია!“
ფროიდმა თქვა: „სექსი ყველაფერია“
მარქსმა თქვა: „ფული ყველაფერია!“
აინშტეინმა თქვა: „ყველაფერი შეფარდებითია!“
დასკვნა: რამდენიც ებრაელია, იმდენი აზრია!

* * *

— **მამა** დამპირდა, თუ მთელი მეოთხედის მანძილზე სამიანს არ მიიღებ, სმას მივატოვებო!
— მერე?
— აი, გახარებული დარბის — ქიმიაში სამიანი გამომყვა...

* * *

**დეპუტატის** კაბინეტში, რომელიც მომავალი არჩევნებისთვის ემზადება, მისი ფოტოების გადასაღებად ფულის დაზოგვის მიზნით ახალგაზრდა და გამოუცდელი ფოტოგრაფი მოიწვიეს.



ცოტა ხანში დაცვამ ფოტოგრაფი კაბინეტიდან გამოაგდო, ოთახიდან კი დეპუტატის უწმაწური გინება ისმის.
— რა მოხდა? — ეკითხება გაოგნებულ ფოტოგრაფს გამვლელი ჟურნალისტი. — რატომ გაგიბრაზდა ასე ძალიან დეპუტატი?
— აზრზე არა ვარ! — უპასუხებს ფოტოგრაფი, რომელიც გახეთქილ ტუჩებს იწმენდს. — მხოლოდ ერთი წინადადება ვუთხარი. გადაღების წინ ვთხოვე, ცოტა ჭკვიანური და სერიოზული გამომეტყველება მიიღეთ-მეთქი...

* * *

**სამხედრო** ნაწილის მღვდელი საყვარელს ეალერსება.
— დამიმტკიცე, რომ გიყვარვარ, მოიპარსე წვერი! — ეუბნება საყვარელი.
— უხერხულია გაპარსული მღვდელი, მე რა, ურწმუნო ვინმე ხომ არა ვარ!
— ესე იგი, არ გიყვარვარ?
— ფოფოდია მომკლავს!
— ესე იგი, ის ჩემზე მეტად გიყვარს?
რა ექნა მღვდელს, მოიპარსა წვერი, დაიცადა, სანამ ცოლი დასაძინებლად დაწვებოდა და მერე ჩაუწვა საწოლში. ნახევრად მძინარე ფოფოდიამ ლოყაზე ხელი მოუთათუნა:
— ოჰ, შე გიჟო! არ გეშინია, პორუჩიკო, რომ ჩემი ქმარი მალე შეიძლება დაბრუნდეს?

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე